645/
1959/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ქალი

№ 3 მარტი 1959 წ.





ხარკოვი. ელექტრომექანიკური ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები: ო. კასიმოვა, ვ. ჩერკაშინა, ს. ცთონსკათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ო მ ე რ შ ი ა

კომუნიზმის მშენებელთა მძლავრი არმია.

*

ელინა ბისტრიცკაია.

*

ვანდა ვასილევსკაიას მოთხრობა.

*

ნარკვევი უკრაინელ **მარკშეიდერზე**

*

«ჩაპაეველთა» წინამძღოლი.

*

როზია ოზიდი—ლექსი.

*

იგი უყვარს ხალხს.

*

ზულფია—ლექსი.

*

ნარკვევი მენავთობე ქალზე.

*

სილვა კაპუტიკიანი—ლექსები.

*

შოღიკ საფიანი – მინიატურები.

*

დიდი ხელოვნება.

*

წერილი ექიმ ქალზე.

*

დაუგავას დიასახლისი.

*

წერილი მოლდაველ მევენახეზე.

*

ნარკვევი ოკულისტ ქალზე.

*

ბავშვთა მუსიკალური აღზრდა.

*

ლეილა აბაშიძე—მაია წყნეთელი.


7742

# სამღერა

ნაზი კილასონია

სხვა ჩემზე მდიდარი  
ვინ არი,  
ვინ არი ხელხვავი ჩემსავით,  
წამიღებს ხალისის მდინარე  
და ჩემი სტიქიაც ეს არი.

სამშობლო—სიმაღლე მთებური,  
სამშობლო მზიანი დარია,  
რამდენი სიმღერაც მეგულვის  
იმდენი მეგულვის დაიაც.

ერთია სტეკების გვირილა,  
რუსეთის ცასავით ლურჯთვალა.  
მას უყვარს  
—ღიმილი,  
ღიმილი  
და ღიმილს ვუგზავნი უთვალავს.

მეორე—თავთავის სურნელი,  
ბანდურზე სამღერი ლექსია.  
მას უყვარს ზღაპრული სურამი,  
მან მანდო ნარნარი ლესია.

კედელზე ჭრელ-ჭრელი ხალიჩა,  
ავაკარ და ვეღარ ვშორდები,  
შენ ათას ფერებში აგირჩევ  
მაგ შავი ნაწნავის შოლტებით.

ციმციმებს თვალები ნუშისა,  
და ბამბის ფთილებიც ციმციმებს,  
წარბშეკრულ მხედართა ნაშიერს  
გიხდება,  
გიხდება  
სიცილი.

მე ქართლში ჩონგური გავთალე,  
ნეტავი სულ ასე მამღერა,  
დაიკო,  
უზბეკო,  
თათარო,  
თქვენი ვარ, თქვენ მყოფნით სახელად.

ჩვენ ერთი გვიღელავს გულები,  
ასული დიდების თაღამდის.  
ჩვენ ვრჩებით, ვითარცა თქმულება,  
ჩვენ ვცოცხლობთ და-ძმობის ღაღადით.

ამიტომ ვამაყობთ მთებურად,  
ამიტომ ზამთარშიც დარია:  
რამდენი სიმღერაც მეგულვის,  
იმდენი მეგულვის დაიაც!

ამ ნომერში მოთავსებული მასალებით მკითხველები გაეცნობიან მოძმე რესპუბლიკების მოწინავე ქალთა ცხოვრებასა და შრომას.

გარეკანზე—«მეგობრობის ფერხული». მხატვარი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა.


ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საბჭოთა ქალი

№ 3 მარტი 1959 წელი.

გამოცემის მესამე წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნიზმის მშენებელთა მძლავრი არმია

**ზინაიდა კვაჭაძე,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ბედნიერ ეპოქაში ცხოვრობს ჩვენი თაობა. ჭეშმარიტად დიადი მისია ხვდა მას წილად—ხორცი შეასხას მშრომელი კაცობრიობის საუკუნეობრივ ოცნებას—ააშენოს ყველაზე სამართლიანი საზოგადოება დედამიწაზე—კომუნისტური საზოგადოება.

საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი წინსვლის გზაზე მძლავრ მანათობელ შუქურად აკაშკაშდა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი. ყრილობამ დაამუშავა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, დასახა ჩვენი ქვეყნის განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები, სათავე დაუდო კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის დასაწყისს.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებშიც გამოხატულია პარტიისა და ხალხის ნება—ააშენონ კომუნიზმი, ყველა ღონისძიება განახორციელონ მშვიდობის შესანარჩუნებლად, კიდევ უფრო მიზანსწრაფული გახადა საბჭოთა ადამიანების შრომა, გამოიწვია მათი შემოქმედებითი ენერგიის ახალი მძლავრი აზვირთება.

ასეთ ღირსშესანიშნავ ვითარებაში აღნიშნავენ წელს საბჭოთა ქალები ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს 8 მარტს. და ეს გასაგებიცაა. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ისტორიული გამარჯვებანი საბჭოთა ქალების აქტიური შემოქმედებითი შრომითაც არის გაპირობებული. პირველად საბჭოთა კავშირში და შემდეგ მისი მაგალითის მიხედვით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში შეიქმნა ქალთა თანასწორობის რეალურად განხორციელების უფლებრივი და მატერიალური საფუძვლები.

და მადლიერი საბჭოთა ქალებიც, სარგებლობენ რა სოციალისტური წყობილების ყველა სიკეთით, საქმით ცხადჰყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას მშრომელი ხალხისადმი, ყოველთვის მხურვალედ ეხმაურებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის ყველა მოწოდებას. ძალ-ღონეს არ იშურებენ პარტიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, მტკიცედ მიაბიჯებენ ახალი საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში.

ჩვენი სამშობლო მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის, დიდად განვითარებული მექანიზებული სოფლის მეურნეობის, მოწინავე კულტურის ქვეყანაა. საბჭოთა მეცნიერების აღმოჩენებმა უკან მოიტოვეს ყოველივე, რაც დღემდე მსოფლიოში მეცნიერებას შეუქმნია. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების, მრავალსაფეხურიანი კოსმოსური რაკეტის შექმნა და გაშვება, რაც ჩვენმა მეცნიერებამ განახორციელეს, მთელი ეპოქაა კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის განვითარებაში. ამ საკაცობრიო საქმეშიც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერმა ქალებმა.

ახალი ცხოვრების შენებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში მთელ საბჭოთა ქალებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ქალები. სახალხო მეურნეობის, კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა უბანზე ავლენენ ისინი მაღალ კომუნისტურ შეგნებას, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, პატრიოტიზმის, მშვიდობისადმი ერთგულების სულისკვეთებას.

დიდ შრომითს აქტივობას იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის ქალები სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელი აღმავლობისათვის. შორს, ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც ცნობილია ქართველ ნოვატორ კოლმეურნე ქალთა სახელები, 360-მდე ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, მრავალი დაჯილდოებულია სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მედლითა და სიგელით. მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 40 პროცენტამდე ქალები არიან.

ქართველი ქალები წარმატებით ეუფლებიან მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალებს. უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების ნახევარს ქალები შეადგენენ. ქალები წამყვან როლს ასრულებენ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მასწავლებელთა 61 პროცენტი და ექიმთა 59 პროცენტი ქალები არიან.

ქალები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის 101 ქალია, 11 ათასი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატია. ახლა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, ხალხმა დეპუტატობის კანდიდატებად კვლავ დიდი სიყვარულით დაასახელა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ქალები.

დიდი და საპატიოა დედის როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. პარტია და მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზანს ემსახურება საბავშვო ბაღების და ბაგების, კონსულტაციებისა და საავადმყოფოების, სკოლა-ინტერნატების ფართო ქსელი. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ბავშვთა დაწესებულებების ფართო მშენებლობა. მოსწავლეთა რიცხვი სკოლა-ინტერნატებში 1965 წელს სულ ცოტა 2.500 ათასი იქნება; ბავშვთა რიცხვი საბავშვო ბაღებში შვიდწლედის მანძილზე 2.280 ათასიდან 4.200 ათასამდე გადიდდება, რაც ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისა და კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელთა რიგებში მილიონობით ახალი ქალის ჩაბმის ამოცანის წარმატებით გადაჭრას. გაფართოვდება სასადილოების, სამრეცხაოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოთა ქსელი.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს დედას. მარტო საქართველოს სსრ ბიუჯეტიდან მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისათვის მიცემული დახმარება ყოველწლიურად 75 მილიონ მანეთს აღემატება. «გმირი დედის» საპატიო წოდება მინიჭებული აქვს 1.218 ქალს, «სახელოვანი დედის» ორდენით და «დედობის მედლით» დაჯილდოებულია 90.273 ქალი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ იჩენდნენ და იჩენენ დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ჩვენს ქვეყანაში შემოღებულია 7-საათიანი სამუშაო დღე, დასვენებისა და უქმეების წინა დღეებში კი სამუშაო დღე ორი საათით არის შემცირებული, გადიდებულია მცირეხელფასიანი მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი, გაუქმებულია სწავლის ქირა საშუალო სკოლების უფროს კლასებში და უმაღლეს სასწავლებლებში, გადიდებულია ორსულობის გამო ქალების შვებულება და სხვ. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევს ქალებს წარმატებით შეახამონ საწარმოო საქმიანობა დედის საპატიო მოვალეობასთან.

სულ სხვაა მშრომელი ქალების მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. უუფლებობა, შიმშილი, სიღატაკე, მძიმე სამუშაო პირობები—აი მათი ხვედრი. მეტწილ კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალები მოკლებული არიან სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, განათლების და შრომის უფლებას, ან მათი შრომა მამაკაცის შრომაზე ნაკლებ ფასდება. ცივილიზებულ ხალხთა სამარცხვინოდ კოლონიურ ქვეყნებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქალებით ვაჭრობას, ქალის ყიდვა-გაყიდვას.

კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ქალები სულ უფრო და უფრო იმაღლებენ ხმას კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მაგალითი გზას უნათებს მათ ახალი, ბედნიერი მომავლისათვის, თავიანთი უფლებებისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

მთელი მსოფლიოს ქალები ერთსულოვნად გმობენ იმპერიალისტური ბანაკის აგრესიულ პოლიტიკას, იბრძვიან ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ახალგაზრდა თაობის ნათელი მომავლისათვის.

ქალთა ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის 80 მილიონზე მეტ ქალს. ფედერაციის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ქალები. ისინი დაუცხრომლად იბრძვიან მშვიდობისათვის, ყველა ქვეყანასთან ნდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ქალები, გარემოსილნი პარტიისა და მთავრობის უდიდესი მზრუნველობით, მთელ საბჭოთა ქალებთან ერთად, კვლავაც ძალების დაუზოგავად იშრომებენ კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული სოციალისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთის სფსრ

ტერიტორია — 17 076,9 ათასი კვ. კმ.. მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.) — 113,2 მილიონი. დედაქალაქი — მოსკოვი.

რუსეთი, — წერდა ვ. ი. ლენინი 1913 წელს, — რჩება წარმოუდგენლად ჩამორჩენილ ქვეყნად, ღარიბი და ნახევრად ველური, თანამედროვე საწარმოო საშუალებებით აღჭურვილი 4-ჯერ ნაკლებად ინგლისზე. 5-ჯერ ნაკლებად გერმანიაზე, 10-ჯერ ნაკლებად ამერიკაზე.

40 წლის მანძილზე რუსეთის ფედერაციის მრავალეროვანი საბჭოთა ადამიანების გმირულმა შრომამ რესპუბლიკა გარდაქმნა ჩვენი პლანეტის უძლიერეს სახელმწიფოდ, რსფსრ-ს ტერიტორიაზე იწარმოება საკავშირო სამრეწველო პროდუქციის 2/3.

სწრაფად ვითარდება ფედერაციის აღმოსავლეთი რაიონები. საბჭოთა ადამიანის სამსახურში დგება ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მდინარეების სიმძლავრე. მათი ულევი მდიდარი წიაღისეული, თვალუწვდენელი ყამირი და ნასვენი მიწები.



# ელინა ბისტრიცკაია

დილით ბინაზე დავურეკე ელინა ბისტრიცკაიას. დილა, უთუოდ, ყველაზე შესაფერი დროა იმისათვის, რომ შინ იპოვოთ კინომსახიობი, რომელიც ახლა არსად არ არის გადაღებაზე.

ტელეფონის მილში მისი წრფელი სიცილი შემომესმა. ხუთი წუთის შემდეგ რეპეტიციაზე მიდის. შინ მხოლოდ საღამოს იქნება. მსურს რაც შეიძლება ჩქარა ვნახო? კარგი. მცირე თეატრის ფილიალი ახლოსაა, შემიძლია იქ ვინახულო.

ბისტრიცკაია და მცირე თეატრი? ნუთუ დასში შევიდა? როგორღა იქნება კინო?..

მის საპირფარეშოში ვზივარ, შემოვიდა და უღონოდ ჩაეშვა სავარძელში. აცვია კაბა ფართო გრძელი ქვედატანით, ისეთი როგორსაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში იცვამდნენ ქალები. თეატრალური მორთულობის მეოხებით მისი მოქანცულობაც თეატრალურსა ჰგავს. ნამდვილად კი დაღლილია, რეპეტიცია სამ საათს გრძელდებოდა...

მე მოვახერხე მისი გამხიარულება. მომხიბლავად იცინის — თავს უკან გადაიგდებს და ცხვირს ჭმუხნის. როცა სიცილი შეწყვიტა, მრავალი შეკითხვა დავაყარე.

არასოდეს ბავშვობისას არ უოცნებია მსახიობი გამხდარიყო. მსახიობი არავინ ყოლია წინაპრებში, მამა და დედა ექიმები იყვნენ. ელინაც ექიმი უნდა ყოფილიყო — ასეთი იყო ოჯახის გადაწყვეტილება.

როცა ომი დაიწყო, მამამ ფრონტისპირა ჰოსპიტალს მიაშურა, ქალიშვილიც თან წაიყვანა. ელინამ, მედიცინის დებს შორის ყველაზე ახალგაზრდამ, ბევრი განიცადა..,

მათი სახლი კიევში ნანგრევებად იქცა. ბისტრიცკები ნეჟინში გადავიდნენ საცხოვრებლად. სამი წლის შემდეგ ელინამ სამედიცინო ტექნიკუმი დაამთავრა.

— და აი მაშინ გაიმართა ნამდვილი ომი, — ჰყვება მსახიობი, — დავიწყე ოცნება თეატრალურ ინსტიტუტში შესვლაზე. მშობლები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. თითქმის ორ წელს გრძელდებოდა ეს ომი. ბოლოსდაბოლოს მე გავიმარჯვე.

როცა კიევის თეატრალურ ინსტიტუტში შედიოდა, ელინა ბისტრიცკაია კითხულობდა ტატიანას წერილს ონეგინისადმი. ნაწყვეტი არ იყო მაინცდამაინც მოხდენილად შერჩეული. ტატიანას წერილს კითხულობს ათასობით ქალიშვილი, რომლებიც მსახიობობაზე ოცნებობენ. როგორც ჩანს, კომისია კმაყოფილი დარჩა — ელინა მიიღეს ინსტიტუტში. სტუდენტობისას გადაიღეს კინოსურათში — «მშვიდობიან დღეებში». სურათი საშუალო იყო, როლი უმნიშვნელო. მაგრამ ეს ხომ პირველი როლი იყო? როგორც შემდეგ გამოირკვა, მაღალი, შავთმიანი ქალიშვილი თეატრალური ინსტიტუტიდან კარგად დახსომებოდათ კიევის კინოსტუდიაში

მეორე როლმა კინოში მხოლოდ გული დასწყვიტა. ამ დროს ბისტრიცკაია ვილნიუსის რუსულ დრამატულ თეატრში მუშაობდა. თამაშობდა ტანიას და ოლგას არბუზოვის პიესებში — «ტანია» და «ხეტიალის წლები», ვარია ბელაიას «პორტ-არტურში», ალიონუშკას... და უცბად წერილი კიევიდან — მიწვევა რადისტის როლზე კინოსურათში «ბოგატირი» მიდის მარტოში», ძნელია იმის თქმა, თვითონ როლი იყო ულიმღამო, თუ მსახიობი გამოუცდელი, სახეირო კი არაფერი გამოუვიდა. როცა თავისთავი ეკრანზე იხილა, ელინამ გადაწყვიტა აღარ გაკარებოდა კინოს. ვთქვათ თეატრში როლი ჩაგივარდა, ამას მხოლოდ



ე. ბისტრიცკაია—აქსინია.

ათასი კაცი თუ შენიშნავს. კინოში კი სულ სხვაა. კინოსურათს მილიონები ნახულობენ. არა, არასოდეს აღარ ითამაშებს კინოში!

გამძლეობა მხოლოდ ნახევარ წელს ეყო. ვილნიუსის რუსული დრამატული თეატრი ლენინგრადში ჩავიდა საგასტროლოდ. ლენინგრადელი მაყურებელი მომთხოვნი და მაღალი გემოვნებისაა. მაგრამ ბისტრიცკაიას წარმატება ჰქონდა. აქ მას კვლავ შესთავაზეს კინოში გადაღება, არჩევანიც შეეძლო: ვიოლა „მეთორმეტე ღამეში“ თუ ახალგაზრდა ექიმი „დაუმთავრებელ მოთხრობაში“: ვიოლას როლი უფრო მაცდუნებელია, სამაგიეროდ «დაუმთავრებელი მოთხრობა»—ეს თანამედროვეობაა, დღევანდელი ადამიანებია, და ელინასაც ხომ ყოველთვის სურდა ეთამაშა საბჭოთა ქალი. სცენარიც არ იყო ცუდი: მთავარი გმირი მიჯაჭვულია ლოგინს, ფეხები პარალიზებული აქვს. ეს არის სულით ძლიერი ადამიანი, მაგრამ დატანჯული ავადმყოფობით, საჭიროა ჩაუნერგო განკურნების რწმენა, დაეხმარო, განკურნო.

ახალგაზრდა ექიმის როლი ელინა ბისტრიცკაიამ ბრწყინვალედ განასახიერა. შესანიშნავი ანსამბლი შექმნეს მან, ბონდარჩუკმა და გიაცინტოვამ, რომელიც გმირის დედას თამაშობდა.

«თქვენ, უთუოდ, ექიმი ხართ და არა მსახიობი. ეს უმალვე იგრძნობა,—სწერდა ბისტრიცკაიას აღფრთოვანებული მაყურებელი.—კარგია, რომ კინოში უბრალო ადამიანთა მიწვევა დაიწყეს. ასე უფრო ბუნებრივი გამოდის».

იყო ბუნებრივი მშობელი ხალხის თვალში, განა შეიძლება ამაზე უფრო მაღალი შეფასება მსახიობის წარმატებისა?

1955 წლის ბოლოს საბჭოთა კინომუშაკების ჯგუფთან ერთად ბისტრიცკაია პარიზს გაემგზავრა. თანამგზავრებისაგან შემთხვევით გაიგო, რომ გადაწყდა მ. შოლოხოვის. «წყნარი დონის» გადაღება ეკრანზე, იწყება საცდელი შერჩევა აქსინიას როლისათვის. სურათს დგამს სერგეი გერასიმოვი, ის, ვინაც შექმნა «შვიდი მამაცი», „კომსომოლსკი“, „ახალგაზრდა გვარდია“...

აქსინიას როლი ბისტრიცკაიას ოცნება იყო. ჯერ კიდევ ინსტიტუტში, პირველ კურსზე გამოცდის დროს, მან ორი ნაწყვეტი წაიკითხა „წყნარი დონიდან“. მაშინ თითქოს არაფერი გამოუვიდა, ამხანაგებიც ამბობდნენ—ელინა ვერასოდეს ვერ ითამაშებს აქსინიასო. თვითონ კი სხვანაირად ფიქრობდა, და აი ახლა, როცა აღმოჩნდა, რომ კინოსურათი იქნება, იგი თითქოს ჯიბრზე შორს არის მოსკოვიდან. პარიზი მომხიბლავია. მაგრამ როგორ უნდა, რომ ახლა მოსკოვში იყოს?!

ელინა მოსკოვში 30 დეკემბერს ჩამოვიდა. იმ დღესვე დაურეკა გერასიმოვს. რა ბედნიერებაა—მას არ დაუგვიანია, საცდელი შერჩევა კვლავ გრძელდება. სტუდიაში მისულმა გაიგო, რომ მას არანაკლებ ოცი მეტოქე ჰყავს...

როცა გერასიმოვმა აცნობა, რომ სამხატვრო საბჭომ იგი მოიწონა, ქალი სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა.

— შეიძლება ასე ღელავდეთ და გონებას ჰკარგავდეთ? თუ ორ კვირაში არ გახდებით ისეთი ბისტრიცკაია, როგორიც საცდელი გადაღების დროს იყავით, მე თქვენ გადაღებაზე არ დაგიშვებთ. მსახიობს მაგარი ნერვები უნდა ჰქონდეს. წინ ძნელი მუშაობა მოგელით.—გააფრთხილა გერასიმოვმა.

მუშაობა მართლაც თავბრუდამხვევი აღმოჩნდა. ჯგუფი დონზე გაემგზავრა, ხუტორ დიჩენსკში. სტუმრების ჩასვლით გახარებული კაზაკები მზად იყვნენ ყოველნაირი დახმარება აღმოეჩინათ მათთვის.

გერასიმოვი, ჭკვიანი და ტაქტიანი რეჟისორი, მსახიობებს სრულ თავისუფლებას აძლევს: „ითამაშეთ ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ». მაგრამ ამავე დროს იგი ყოველთვის აღწევს, ისე გამოვიდეს, როგორც ნამდვილად საჭიროა.

— არ დაივიწყოთ მთავარი, —ეუბნებოდა რეჟისორი ბისტრიცკაიას,—აქსინიამ, რასაც არ უნდა აკეთებდეს იგი, უნდა გააკეთოს ისე, რომ გრიგორის თავი მოაწონოს.

და ელინაც ცდილობდა ასე ეთამაშა. მაგრამ ყველაფერი მაინც ისე არ გამოუდიოდა, როგორც ამას კაზაკი ქალები აკეთებენ. აქ დასჭირდა ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარება. ელინა—აქსინია საოჯახო საქმეებს მოხუცი კაზაკი ქალის ულიანას მეთვალყურეობით აკეთებდა.

„მე შენ, ქსიუშა, კაზაკურად ცხოვრებას გასწავლი“,—ეუბნებოდა ულიანა. ხუტორში მას არავინ ეძახდა ელინას, ეძახდნენ მხოლოდ აქსინიას, ანდა შემოკლებით—ქსიუშას. და მართლაც, იგი ნამდვილ აქსინიად გადაიქცა, შოლოხოვის აქსინიად.

ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ მსახიობმა მიიღო ასობით აღფრთოვანებული წერილი „თქვენ უნდა გერქვათ არა ელინა ბისტრიცკაია, არამედ აქსინია დონსკაია“—ეწერა ერთ იმათგანში.

მსახიობი ქალის შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესავსებად რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას კინოფილმზე „მოხალისენი“. 30-იანი წლების დამდეგს პარტიამ და კომკავშირმა ახალგაზრდებს მოუწოდეს პირველი ხუთწლედების მშენებლობებზე. მჩქეფარე ენერგიითა და ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა ამ მოწოდებას და ახალ მშენებლობებზე წავიდა არა ბრძანებით, არამედ თავისი სურვილით.

კინოსურათში ელინა ბისტრიცკაიას—მოსკოვის მეტროს მშენებლობის ბრიგადირს ლოლიას—მაყურებელი ხედავს გიგანტური ჩაქუჩების გრუხუნში, ელექტროშემდუღებელთა ნაპერწკლების ციალში.

თავდაჭერილი, ჭკვიანი ექიმი ელისაბედ მაქსიმეს ასული და ვნებიანი, მოსიყვარულე აქსინია, მიზანსწრაფული, და მამაცი კომკავშირელი ლოლია—სულ სხვადასხვა სახისა და ხასიათის გმირები, სწორედ ეს სურდა ბისტრიცკაიას! „ყოველმა მსახიობმა, მით უმეტეს ახალგაზრდამ, სხვადასხვა ადამიანები უნდა განასახიეროს,—ამბობს ელინა,—წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოარულ შტამპად იქცევა.“

ახლა მას სწყურია განასახიეროს ჩვენი დღეების ქალი. შესაფერ სცენარს ელოდება. ამასთან თეატრის მსახიობიც არის. მცირე თეატრი ამზადებს ოსკარ უალდის პიესას—„ლედი უინდერმირის მარაო“. ბისტრიცკაიას უნდოდა ეთამაშა ამ პიესაში, და კიდევაც მივიდა მცირე თეატრში ისე, რომ არავის მიუწვევია. არ უყვარს, როცა იწვევენ, ურჩევნია თვითონ მივიდეს, ისე როგორც „წყნარი დონის“ გადაღებისას მოხდა. ითამაშებს ლედი უინდერმირს, ქალს, ვისაც მისი თაყვანისმცემელი ლორდი დარლინგტონი ეძახის მომხიბლავ პურიტანკას.

აქსინიასა და ლედი უინდერმირს შორის მანძილი უზარმაზარია, მაგრამ სწორედ ეს არის კარგი. მთავარი ხომ მრავალფეროვნებაა!

გამოუდის რაიმე? ამაზე სიტყვაც არ დაცდენია. პრემიერა გვიჩვენებს. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: სამუშაო დიდია.

ს. ივანოვი.

ქ. მოსკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განთიადისას

ვანდა ვასილევსკაია

მოთხრობა

— აბა, ბიჭებო, ჩემი კატიას ბედნიერი ჩამოსვლის სადღეგრძელო შევსვათ. კეთილი იყოს მისი მოსვლა!

ყველანი წამოდგნენ. ვერცხლის წკრიალი გაიღეს ჭიქებმა. კატია იცინოდა. როგორც იქნა, ექვსი თვის განშორების შემდეგ, იგი კვლავ ალექსეისთან იყო.

— ვიმღეროთ, ბიჭებო!—ალექსეიმ დაბალი, წკრიალა ხმით წამოიწყო სიმღერა. კატია შეჰყურებდა ქმარს. ეს ალექსეი იყო, მისი ალექსეი... შავი, შავი წარბები, ნათელ შუბლზე მოშვილდული — როგორ უყვარდა ეს წარბები. ნაცრისფერი, ჟუჟუნა თვალები—როგორ უყვარდა ეს თვალები.., შავი წამწამები, გრძელი ვითარც ქალწულის... როგორ უყვარდა ეს წამწამები...

შავ ერიკზე, შავ ერიკზე თათრებმა
ცხენთა რემა მირეკეს და დათელეს
და აივსო მდინარეთა ფერდობი
თავგაჩეხილ მხედრობით...

მამაკაცების ძლიერმა გუნდმა აიტაცა:

ჰეი, ძმებო, ძმებო, სიცოცხლის
მადლს შევიგრძნებთო...
გულმაგარი და თამამი
დღეგრძელ გვყავდეს ატამანი...

— აბა, ჩვენი ატამანის სადღეგრძელო იყოს! ალექსეის გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს ალექსეის!—კატიამ მაგრად მიუჭახუნა ქმარს ჭიქა.

პირველმა ტყვიამ, პირველმა ტყვიამ
მომიკლა ცხენი...
მეორე ტყვიამ, მეორე ტყვიამ იქამდე
მსდია—
სისხლი მდის ცხელი...

და ისევ გუნდი. «ჰეი, ძმებო, ძმებო»,...— კატიამაცააყოლა გუნდს თავისი მაღალი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა.

ცრემლი როგორ ეკადრება—
ატამანი თვალს მოავლებს სივრცეს...
შეივსება ესკადრონი—დავიწყებას
მიმცემს.

მღეროდა ახალგაზრდა მესაზღვრე. ციმციმებდნენ თვალები, ლაღად ჰქუხდა კაზაკური სიმღერა:

მენანება მინდორი, ვაჰ, სიკვდილი
მძლევს..
ძირს ტრფიალი მინდოდა, მაღლა
ცა და მზე.

— გრიშა, პატეფონი, ვიცეკვოთ!

ყველანი წამოხტნენ. ხმაურით გასწიეს მაგიდა.

— კატერინა ივანოვნა, ვიცეკვოთ!

— რატომაც არა, ვიცეკვოთ! დიდი ხანია არ მიცეკვია... მოსკოვის შემდეგ...

—ახლა კი აქ, საზღვარზე ვიცეკვოთ...

აშარიშურდა, აშრიალდა პატეფონის ნემსი. ღამეში დაირხა საცეკვაო მუსიკა. ცეკვავდა კატია, ბედნიერი, სუნთქვაშეკრული.

— ბიჭებო, ბოლოსდაბოლოს მეც ხომ მერგება რაღაც!—სიცილით თქვა ალექსეიმ და კატიამ ქმრის ძლიერი მკლავები იგრძნო. ახლოს, სულ ახლოს მიეკრა. ეს ალექსეი იყო... სწორედ ალექსეი... შავი თმის კულულით შუბლზე.

— ა, კატიუშა, რას იტყვი?

— ო, რა კარგია... რა კარგია, ძვირფასო... რა სიხარული!

— ხედავ, შენ ყველას მოეწონე, კატია...

— მე არ მინდა შენს მეტს მოვეწონდე... მხოლოდ შენ, მხოლოდ შენ, ალიოშა!

— ძვირფასო, სანუკვარო ჩემო, შენ უკვე ჩემს ბიჭებს, ყველას უყვარხარ...

— მე მინდა მხოლოდ შენ გიყვარდე, ალიოშა!

— მიყვარხარ, გენაცვალე, ჩემო შავწარბა!

— ჩუმად, ალიოშა, ჩუმად, მათ ესმით.

— ამხანაგო უფროსო, არც ასე ვარგა... ჩვენც გვინდა ვიცეკვოთ...

— იცეკვე, შენი ჭირიმე, კატია, კიდევ იცეკვე მათთან. გულითადი ბიჭებია, ყველა როგორც ერთი... იცეკვე...

მსუბუქად ეხებოდა იატაკს პატარა ფეხები, შავი, აბრეშუმის თმა ჩამოშლოდა... მესაზღვრეები აღტაცებით შეჰყურებდნენ ახალგაზრდა ქალს. ალექსეი კი იღიმებოდა და ჩექმის წვერს აყოლებდა ტაქტს. პატეფონი ახრიალდა.

— ნემსია გამოსაცვლელი, ნემსი...

— მე მეტი არ შემიძლია,—კატია სკამზე დაეცა და მიმპატიჟებელთ სიცილით იგერიებდა,—არ შემიძლია, ამდენი დღე მატარებელში და კიდევ ახლა... არ შემიძლია... უთხარ, ალექსეი. არ შემიძლია...

— გეყოფათ, ბიჭებო!—ჩაერია უფროსი მესაზღვრეთაგანი,—უკვე გვიანია, ხალხმა ხომ უნდა დაისვენოს, წავიდეთ!

ნელნელა გადიოდნენ, ზანტად. ახმაურებული ოთახი უცბად დაცარიელდა. კატია ანგარიშმიუცემლად შეუდგა მაგიდის ალაგებას.

— თავი დაანებე, კატიუშა, ხვალამდე. უკვე შუაღამეს გადასცდა, ძილიც გვინდა. ხედავ, ძლივს დგახარ ფეხზე...

იღიმებოდა კატია... ჟღერდა სიმღერა, სიხარულით ძგერდა გული...

— თავი დაანებე ყველაფერს...

— არ მსიამოვნებს ეს ჭუჭყი... მიყრილ-მოყრილი...

— მოგცლია ერთი, თავი დაანებე! ბაღში დავიძინოთ, დიასახლისობას შეუდგები ხვალ...

პირდაპირ ბაღში გავიდნენ, წინ ვარსკვლავიანი, ჩუმი ღამე გადაეშალათ... ალმასის მტვერი ნაპერწკლებად ციმციმებდა ზეცაზე.

ალექსეი ლოგინს შლიდა.

— ხედავ, კატიუშა, რა მშვენიერებაა — გადაშლილი ვაშლის ხე, დაცვარული ბალახი...

— თითქოს და ვაშლის ხეზეაო ეს ვარსკვლავები...

მართლაც, ვარსკვლავები თითქოს რტოებზე ანთებულიყვნენ, ფოთლებისა და შტოთა ჩეროდან გაჰყურებდა კატია გაცისკროვნებულ ზეცას... დამათრობელ სურნელებას აფრქვევდა მატიოლა.

— რა სილამაზეა, ალექსეი!

— საყვარელო, ერთადერთო ჩემო...

— ალიოშა, ალიოშა, ვარსკვლავები გვიცქერენ.

— დე, გვიყურონ კატია, ვარსკვლავები ჩემთან ერთად შეჰხარიან შენს სილამაზეს, ჩვენს ბედნიერებას.

— ახ, ალიოშა!...

ვარსკვლავების შუქზე ნათლად ისახებოდა შავი წარბების რკალი. ნაცნობი, ახლობელი, საყვარელი სახე.

— ახ, ალიოშა, რა სიხარულია, რა ბედნიერება... გული ლამის გასკდეს.

— სიყვარულიც სწორედ ეს არის, კატია.

— ალიოშა, ფრთები რომ მქონდეს, ვარსკვლავებთან რომ შემეძლოს გაფრენა... გიყვარვარ, ალიოშა?

— მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ...

— ალიოშა, ალიოშა, ალიოშა...

— კატიუ, კატია...

იმეორებდე საყვარელ სახელს და მეტი არაფერი!

ჩუმად დგანან ვაშლის ხეები, ხეებს ზემოთ კი ვარსკვლავთ ქაოსია.

— ალექსეი...

— კატიუშა...

შორიდან ეხოსავით მოისმა სიმღერა:

ძირს ტრფიალი მინდოდა, მაღლა ცა და მზე.

— ბიჭები მღერიან.

— იძინე, იძინე, ძვირფასო.

— ალექსეი...



* * *

ნეტა, როდის იყო ეს? წარმოუდგენელია— გუშინ საღამოს, დღეს ღამე? მაინც როდის იყო ეს? ათასი წლის წინათ—ცეკვა, ვარსკვლავები ვაშლის ხის რტოებში?

— მოიტა. კატია, მოიტა...

გახევებული კატია სწრაფად აწვდიდა ვაზნებს, თავშლიდან ჩამოწეწოდა თმა. ტყვიამფრქვევს მიკრული ალექსეი უკან მიუხედავად იძახდა:

— მოიტა, კატია, მოიტა...

კაკანებდა ტყვიამფრქვევი, ირხეოდა გრძელი ლენტა. კატია სწრაფად იღებდა შემდეგს...

— კატია!

— დიახ.

— წადი, კიდევ ერთხელ დარეკე. პოლკოვნიკს უთხარი, გესმის, ყველაფერი უთხარი.

ბუჩქებით გაცოცდა. ბორცვს იქით კი სირბილით გავარდა სახლამდე, ტელეფონთან.

— ქალაქი მომეცი, ქალაქი, ოცდათხუთმეტი.

— არ პასუხობს.

— მომეცი ოცდათექვსმეტი...

— არ პასუხობს.

გაისმა ტელეფონის ჩხაკუნი. შეძრწუნებული კატია ფანჯარას მივარდა.

ბუჩქებს იქეთ გრუხუნებდნენ აფეთქებები... მან კიდევ ერთხელ წაავლო აცახცახებული ხელი ყურმილს:

— ძვირფასო, საყვარელო, ლაპარაკობს ორლოვკა... ორლოვკა... ძვირფასო, საყვარელო, მომეცი ქალაქი, ოცდათხუთმეტი...

— არ პასუხობს.

— ძვირფასო, გამიგონე, ლაპარაკობს ორლოვკა... ქალაქი. სულერთია რომელი ტელეფონიც იქნება. ქალაქი!...

— შევეცდები, ძოითძინეთ,—მოისმა ყურმილში.

კატია ძლივს იოკებდა შინაგან თრთოლვას. სადღაც იქ, შორს, ისმოდა მავთულების შეერთების ჭახანი და ტელეფონისტის მშვიდი ხმა, რომელიც ჯიუტად იმეორებდა:

— ქალაქი... ქალაქი... ქალაქი...

— ალო, ორლოვკა...

— აქა ვარ, ორლოვკა, ორლოვკა, ორლოვკა...

— ქალაქთან კავშირი გაწყვეტილია. ასწორებენ. უნდა მოითმინოთ.

მან უმწეოდ ჩამოუშვა მკლავები. კატია სახლიდან გამოიჭრა, ბუჩქებამდე ფოფხვით მივიდა და აი, თავისიანებთანაა.

— როგორაა საქმე?—ალექსეიმ მოიხედა, ტყვიამფრქვევს მოაშორა გაოფლილი, გარუჯული სახე.

— კავშირი გაწყვეტილია. ასწორებენ. ალექსეის კრიჭა შეეკრა.

— კატია, გაიხედე, გრიშასი არაფერი ისმის...

კატია მარჯვნივ ბორცვს აჰყვა ცოცვით. ახალგაზრდა მესაზღვრე პირქვე ემხო მიწაზე. კატია ფრთხილად შეეხო მის ყმაწვილურ ლოყას, ლოყა კიდევ თბილი იყო. ხალათში ჩაუყო ხელი, გული არ ძგერდა.

— მკვდარია!—უთხრა მან ალექსეის.

— ცხრა!—გამოიანგარიშა ალექსეიმ.—ვაზნები, კატია.

იგი აწოდებდა. საშინელებისაგან გაფართოებული თვალებით გასცქეროდა მეორე მხარეს. იქ, ხიდს გადაღმა მწვანე ფონზე იშლებოდნენ და იფინებოდნენ, ქრებოდნენ და ენთებოდნენ წითელი კოცონები. გერმანელები...

— მოიტა, კატიუშა, მოიტა...

ისინი იწვნენ მიწას გაკრულნი, აბიბინებულ ბალახებსა და ბუჩქებს მიფარებულნი და თავდავიწყებით უშენდნენ იმ მხარეს. მათგან ორას-სამას ნაბიჯზე ჩასაფრებულიყვნენ გერმანელები.

კატია ანგარიშმიუცემლად აწოდებდა ვაზნებს და ანგარიშმიუცემლადვე ითვლიდა: ცხრა, დიახ ცხრა... გრიშა ხომ უკვე არ იყო სათვალავში. გრიშა, ასე გატაცებით რომ ცეკვავდა მასთან გუშინ. გვერდით სულ ახლოს ვიღაც აკვნესდა... უკვე ცხრა კი არა, მხოლოდ რვაა. რა ერქვა მას? კოლია? ჰო, კოლია!

— კატია, სცადე, კიდევ სცადე, იქნებ შეაკეთეს.

კატია წამოიჭრა და ელვისსისწრაფით გავარდა.

— ორლოვკა... ლაპარაკობს ორლოვკა... ძვირფასო, საყვარელო, მომეცი ქალაქი...

— კავშირი მხოლოდ ორი საათის შემდეგ იქნება.

კატიამ ყურმილი დააგდო და სირბილით გაბრუნდა.

— მხოლოდ ორი საათის შემდეგ შეიძლება დაკავშირება.

— ვაგლახ, ორი საათის შემდეგ ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით, კატიუშა... — ჩაილაპარაკა, ალექსეიმ,

მან საჩქაროდ გადათვალა, შვიდი... დიახ შვიდი...

— კატიუშა, თავშალი აიღე და გაიგე რა მოუვიდა პლატონს!

იგი კვლავ ბუჩქებში გაფოფხდა და დაჭრილს მაგრად შეუხვია მკლავი...

— მოსცილდით აქაურობას. თქვენ დაჭრილი ხართ...

— არა უშავს, არა უშავს, კატიუშა, არა უშავს...

— კატია!—მოესმა ქმრის ხმა და ახლა იქით გავარდა...

— ყური მიგდე, კატია...—იგი არ უყურებდა ცოლს, მონუსხულივით მისჩერებოდა მწვანე ძეძვნარს, ხიდგალმა. რომელსაც ცეცხლის წითელი ენები შესეოდნენ.

— კატია, ყური მიგდე, შეგიძლია ფარდულიდან მანქანის გამოყვანა?

თითქოს გულში კრესო—იგი შეტორტმანდა...

ალექსეი არც ახლა უყურებდა კატიას, ისევ იქეთ, ბარდნარისკენ იყურებოდა, სადაც წითლად გიზგიზებდნენ ცეცხლის კოცონები.

— შევძლებ,—ყრუდ ჩაილაპარაკა მან.

— კატია, გესმის?

— დიახ.

— საქმეები კარადაშია. ყველაფერი მანქანაში... და ქალაქისკენ! გადასცემ პოლკოვნიკს. გაიგე?

— ალიოშა, მე დავრჩები... არ შემიძლია...

— დაუყოვნებლივ, კატია! გესმის? დაუყოვნებლივ! ერთი წუთის შემდეგ შეიძლება გვიანი იყოს. საქმეები—ყველაფერი, რაც კარადაშია. გესმის? კატია...

— მესმის.

ალექსეის ერთხელაც არ მოუხედია. კატიას კი ვერ გადაეწყვიტა შეხებოდა თუ არა ტყვიამფრქვევის ახალი ლენტისთვის გაწვდილ მის ხელს.

— მანქანაში, მთელი სისწრაფით. გასწი, როგორაც შეგიძლია. ნაგანიც წაიღე, გესმის? გახსოვდეს, კატია, შვიდი ტყვიაა—უკანასკნელი დაიტოვე, ყოველშემთხვევისათვის, გაიგე?

— დიახ... გავიგე.

იგი ნელა წაფოფხდა ბუჩქებისაკენ. უცბად ალექსეიმ ისევ მოუხმო:

— კატია, მოიცადე, წაიღე ჩემი პარტიული ბილეთი. სხვებისაც შეაგროვე, პარტიულ ბილეთებსაც წაიღებ.

აცახცახებული ხელებით გამოართვა მან წითელი წიგნაკი. მერმე ერთიდან მეორისაკენ გაცოცდა. ხუთმა, ხუთმა გაუწოდა თავისი პარტბილეთი.

— იმათიც წაიღე!

კატიამ ჯიბეები გაუჩხრიკა მოკლულთ. აი ისინი, პატარა წითელი წიგნაკები.

— დაიხსომე, კატია, ბენზინი მოამზადე, საჭიროებისას—გადაავლებ და დასწვავ... მეშვიდე ტყვიაც გახსოვდეს... იჩქარე, კატია, იჩქარე...

ახლა კი მოიხედა ალექსეიმ. ნაცრისფერი, საყვარელი თვალები... და კატიამ შეიგრძნო თავდავიწყებული, უსაზღვრო სიყვარული ამ კაცისადმი.

— ალიოშა...

— არაფერია, კატია, არაფერია. ჩქარა წადი. სიყვარულიც სწორედ ეს არის, კატია...

კატიამ ტუჩები მოიკვნიტა. ფრთხილად გაცოცდა, მკერდზე წითელი წიგნაკების შეხებას გრძნობდა.

სახლს უკან ფარდულია, ფარდულში მანქანა.

კატიამ აამუშავა მოტორი. იქ, ბუჩქებს უკან ნამდვილად ესმით მისი გრუხუნი. ალექსეისაც ესმის.

— სიყვარულიც ეს არის! აი, სწორედ ეს არის სიყვარული,—ბოდვასავით იმეორებდა გამშრალი ტუჩებით კატია. გზაზე გამოვიდა. საჭეზე დაიხარა. გზა იყო სწორი. კატიამ მთელი სისწრაფით გააქანა მანქანა. ყურებში ქარი წიოდა. იგი მიქროდა წინ, ელავდნენ თეთრი სახლები, მწვანე ხეები.—ჩქარა, თორემ შეიძლება გვიანიც იყოს!—თავისთვის იმეორებდა ალექსეის სიტყვებს.

გზაჯვარედინზე შეჩერდა, გზა იკითხა, იგი ხომ არ იცნობდა ამ მხარეს. პირველად იყო აქ. ექვსი თვის განშორების შემდეგ მხოლოდ ერთი საღამო და ერთი ღამე.

ალექსეი...

ბოლოს ქალაქიც გამოჩნდა. აჩერებდნენ. ეკითხებოდნენ, ავტომატურად პასუხობდა... გზა უჩვენეს. მძიმედ ადიოდა კიბეებზე.

ახ, რა დაუსრულებლად გრძელი კიბეებია... ერთი კარი, ორი, სამი... სამხედროები, მილიციელები, სავსეა ხალხით. მესაზღვრეთა მწვანე ქუდები... გული შეეკუმშა მწვანე ქუდების დანახვისას...

— საგუშაგოს უფროსმა, ალექსეი ნაზაროვმა დამავალა გადმომეცა ეს საბუთები.

— თქვენ თვითონ ვინ ხართ?—ჰკითხა მაგიდასთან მჯდომმა.

— კატერინა ნაზაროვა.

— მეუღლე?

— მეუღლე.

კატია აწვდიდა ქაღალდებს, ჩანთებს, შეკვრებს... მაგიდასთან მჯდომი ყველაფერს ართმევდა რიგრიგობით, მშვიდად, გულდაგულ აწყობდა.

— ახლა დაისვენეთ, დაბრძანდით.

კატიას უნდოდა ეთქვა, რომ არ იყო დაღლილი, მაგრამ მუხლები ეკეცებოდა და მძიმედ დაეშვა სკამზე, თავში კიდევ სროლის ხმა გრუხუნებდა, აუტანლად რახრახებდა მანქანის მოტორი. მაგიდასთან მჯდომმა ტელეფონის ყურმილი აიღო.

— მომეცით ორლოვკა.

კატია ელოდა.

— ორლოვკა, ორლოვკა, დაუყოვნებლივ...

კატია ელოდა. ისიც ელოდა. ერთადერთი სურვილით ანთებული თვალებით, კატია ცდილობდა რაიმე ამოეკითხა მის თვალებში. შეუბრალებლად იმტვრევდა თითებს.

— მაშ ასე...—მან ნელნელა დაუშვა ყურმილი.

— რაო... რაო?!

კაცი წამოდგა, მაგიდას შემოუარა, ხელი შეახო ქალის თითებს.

— ორლოვკა არ პასუხობს.

— კავშირი არ არის?—კატია გრძნობდა როგორ უცივდებოდა თითები, როგორ ეყინებოდა ფეხები, ეყინებოდა მთელი სხეული... თუმცა მან ხომ იცოდა...

— ძვირფასო, მამაცო ჩემო... რა ვქნათ! ომია... ორლოვკაში გერმანელებია...

როგორც ეხომ, როგორც შორეულმა მოგონებამ გაიქროლეს სიმღერის სიტყვებმა—ნეტა, ვინ მღეროდა და როდის? ალექსეი, შავწარბება, ნათელთვალება, ძვირფასი, საყვარელი, საყვარელი ალექსეი!

მენანება მინდორი, ვაჰ, სიკვდილი
მძლევს...
ძირს ტრფიალი მინდოდა, მაღლა ცა
და მზე.

მან შესძლო თავის შეკავება.

— მე წავალ... საოლქო კომიტეტში უნდა მივიდე...

გზა მიასწავლეს.

— საშვი?

— შენ დაურეკე. მდივანს დაურეკე. მე ორლოვკიდან ჩამოვედი... კატერინა ნაზაროვა, დაურეკე...

ისევ საწერი მაგიდა, ისევ კაცი მაგიდასთან და ხელახლა შეეკუმშა კატიას გული. ვის გავს ნეტა? ჰო, გრიშას! იმ ახალგაზრდა გრიშას, პირველი რომ დაეცა.

— მე პარტიული ბილეთები მოვიტანე.

მან უბიდან ათი წითელი წიგნაკი ამოიღო.

— ვისი პარტიული ბილეთებია?

კატია გაიმართა. მტკიცე და ძლიერი ხმით წარმოსთქვა:

— ეს პარტიული ბილეთები ეკუთვნის ათ ამხანაგს, ათ მესაზღვრეს, რომლებიც საგუშაგოზე დაიღუპნენ ორლოვკაში, ფაშისტებთან ბრძოლის დროს, დღეს განთიადისას.

მდივანი წამოდგა. პარტიული ბილეთები საწერ მაგიდაზე ეწყო. ათი წითელი წიგნაკი ცოცხალი სისხლის წვეთებივით კრთოდნენ მწვანე მაუდზე.

1941 წელი.

თარგმნა მ. თავბერიძემ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკრაინის სსრ

ტერიტორია—601 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.) —40,6 მილიონი. დედაქალაქი—კიევი.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უაღრესად განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. საბჭოთა უკრაინაზე მოდის რკინის მადნის საკავშირო მოპოვების ნახევარზე მეტი, ქვანახშირის მოპოვების მესამედი, თუჯის თითქმის ნახევარი, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების მესამედზე მეტი.

რევოლუციის შემდეგ საბჭოთა უკრაინამ გიგანტური ნაბიჯები გადადგა თავის ეკონომიკის განვითარება-ამაღლებაში. სამრეწველო პროდუქციის დამზადების მხრივ უკრაინამ უკან მოიტოვა ყველა დასავლეთ ევროპის სახელმწიფო, ინგლისისა და დასავლეთ გერმანიის გამოკლებით.

სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი ინტენსივობით, მარტო უკრაინამ 1956 წელს აწარმოვა ხორცისა და რძის პროდუქციის საკავშირო წარმოების მეოთხედი. ბუნებრივია ეკონომიურად ძლიერი რესპუბლიკის მიღწევები კულტურის დარგში. ყველა ფორმის სწავლებით უკრაინაში დაკავებულია 8 მილიონი კაცი.

---

# მთავარი მარკშეიდერი

პატარა სახლში, რომლის ფანჯრებიც ნეკერჩხლის ხშირი ბუჩქების მორცხვად მოქანავე ტოტებს კოპწიად ამოფარებიან, ხშირად მოდის ხოლმე პაპა ხარლამპი, მარტის თოვლივით დაუძლურებული, მაგრამ ჯერ ისევ ჯავარიანი მოხუცი. აქ, ამ სახლში ცხოვრობს მისგან კარგა ხანია წამოსული შვილიშვილი და. პაპას ის დღე დღედ არ მიაჩნია, რომ აქ მოვიდეს და შვილიშვილის სახლკარი არ დაათვალიეროს, საქმეს ხელი არ წაჰკრას. აი, ახლა სულ ნაპირა ფანჯრის დარაბა დამრეცილა, მესერს ფიცრები ასცლია, შესასვლელის ფალანგაც უშნოდ ჭრიალებს, კარგად არ იხურება. ეჰ, ჯერ ისევ საჭიროა შვილიშვილისთვის პაპა ხარლამპის სიცოცხლე და ...დახმარება.

დღეს ხარლამპი უეჭველად გაუწყრება თავის შვილიშვილს. რას გავს ეს ყოველივე, როგორ შეიძლება სახლკარის ასე მიტოვება! აგერ ეზოს ფალანგა არ იხურება, თუ ასე გაგრძელდა, სახლს დანგრევა არ აცდება...

მოხუცი მიუახლოვდა კარს, ვერ შეამჩნია დიდი ბოქლომი რომ ედო და ჯოხით ჯერ კარს, შემდეგ ფანჯარას მიაკაკუნა. მიხვდა მოხუცი— შინ არავინ იყო, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, სად სჯობს ჩამოვჯდე, იმ ალქაჯის მოსვლას დაველოდოო და დაინახა იქვე, თითქოს და მისთვის საგულდაგულოდ გამოტანილი სკამი «ალბათ, მომელოდა, სკამიც ამიტომ გამოუტანიაო», გაიფიქრა პაპამ და სიამის ჟრუანტელმა გული გაუთბო.

იჯდა მოხუჯი და ელოდა სახლის დიასახლისს. ძნელი სათქმელია ფიქრებით იყო გართული თუ რული მიეპარა მოხუცის თვალებს, რომ... თბილი ხელები მზრუნველი სინაზით შეეხენ მის გაუპარსავ სახეს და ნაცნობმა საყვარელმა ხმამ ბურანიდან გამოიყვანა.

— რა კარგია, პაპა, რომ მოსულხარ! დღეს ხელფასი ავიღე და აი, რა გიყიდე. მშვენიერი, სწორედ საშენო პერანგი! ო, როგორ მოგიხდება...

ამ უბანში პაპა ხარლამპი მაღაროელთა დინასტიის ყველაზე მხცოვან წარმომადგენლად ითვლებოდა. თითქმის 70 წლის წინათ იგი მემარხილედ მუშაობდა ყოფილ იაკოვენკოვის შახტში. შემდგომ ამ შახტში ქვანახშირის მონგრევაზე მუშაობდა მისი უფროსი ვაჟი ვასილი. წყეულმა სიკვდილმა წაართვა ეს შვილი ხარლამპის, ლამის გატეხა ამ მწუხარებამ მოხუცი. მაგრამ ნახეთ: წამოიზარდა, დაქალიშვილდა შვილიშვილი, მამა-პაპის გზას გაჰყვა, შახტში დაიწყო მუშაობა... კი არ დაიწყო, შახტში გაიზარდა და მთავარი მარკშეიდერი გახდა.

მთავარი მარკშეიდერი! ასეთი თანამდებობის მიღწევა ოდითვე საოცნებო იყო მხოლოდ რჩეული მამაკაცებისათვის. პაპა ხარლამპის სიჭაბუკეში მარკშეიდერს გვერდს ისე როგორ ჩაუვლიდნენ, რომ ქუდი არ მოეხადათ!

პაპა ხარლამპის შვილიშვილი შახტის მთავარი მარკშეიდერია. როგორ არ გაიხაროს მოხუცმა! ამიტომ იყო, რომ მან, სიამაყით კუნთმომაგრებულმა, ყველა ნაცნობი ჩამოიარა, ყველას აუწყა თავისი საყვარელი შვილიშვილის დაწინაურება, ქუჩაშიც რომ ვინმე ნაცნობი შეხვდებოდა, უთუოდ გააჩერებდა და ტრაბახით ეკითხებოდა:

— გაიგე ჩემი გოგონა რა სიმაღლემდე აფრინდა? მთავარი მარკშეიდერი გახდა. ეს, ძმობილო, იმიტომ, რომ ჩემი სისხლის შთამომავალია, მაშ!

«იზვესტიას» სახელობის შახტი, სადაც ეს ამბავი მოხდა, ყველაზე ძნელ, რთული გეოლოგიური აშლილობის შახტად არის მიჩნეული. შახტი, ეს ხომ უზარმაზარი მიწისქვეშა, უაღრესად მექანიზებული მეურნეობაა, სადაც ადამიანები მუშაობენ. მათი უსაშიშრო შრომის უზრუნველყოფა, სანგრევების ორგანიზაცია, ხვრელების გაყვანა, გამონამუშევარი ადგილების ისე დაგეგმვა, რომ სახიფათო მდგომარეობა, უაღრესი გეოლოგიური აშლილობის პირობებშიც კი არსად შეიქმნეს, შახტის მთავარი მარკშეიდერისაგან განსაკუთრებულ ალღოს, ცოდნას და დიდ გამოცდილებას მოითხოვს.

სანამ ამ შახტში მთავარ მარკშეიდერად ანდრია ფილიპეს-ძე კოზაჩენკო მუშაობდა, სამთო გამონამუშევრების მართებული ორგანიზაციის საქმე არ შეფერხებულა, მაგრამ ახლა როგორ წარიმართება საქმე? ამხ. კოზაჩენკო მეჩვიდმეტე შახტის მთავარ ინჟინრად გადაიყვანეს, ვინ უნდა გაგზავნონ მის ნაცვლად?

ტრესტის მმართველის კაბინეტში ტელეფონის ზარი დაჟინებით წკრიალებდა. რეკდა შახტ «იზვესტიას» მთავარი ინჟინერი ივანე რიჟენკოვი და ყურმილიდან მთელ კაბინეტში გაისმოდა ნაწყენი კილოთი ნათქვამი სიტყვები:

— წაგვართვით გამოცდილი კაცი, ნუთუ სხვა ვერავინ გამონახეთ? ვინ გავგზავნოთ, სად მოვნახოთ ახლა მთავარი მარკშეიდერი?

— თქვენს სამარკშეიდერო განყოფილებაში!—იყო ტრესტის მმართველის დინჯი პასუხი.

— კი მაგრამ, არავინ გვეგულება ასეთი.

— ჩუმაჩენკო? პოლინა ვასილის ასული, განა არ გამოდგება?

— გამოდგება, კარგი კანდიდატურაა, მაგრამ საშუალო განათლებითაა!

— საშუალო განათლებითაა! თქვენ, ამხანაგო რიჟენკოვ, დიდი ხანია საინჟინრო კურსები დაამთავრეთ? მერე რა უშავს, ჩუმაჩენკოც ისწავლის!

ამით დაცხრა შახტის მთავარი ინჟინრის აღშფოთება. მართლაც რა უშავს, რომ პოლინა ჩუმაჩენკო საშუალო განათლებითაა. სამაგიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ ნიჭიერია, უნარიანი ბეჯითი, დაუზარელი,.. გაართმევს კი თავს მთავარი მარკშეიდერის დიდ საქმეს?..

ეჭვის ჭია გულს უღრღნიდა შახტის მთავარ ინჟინერს ივანე რიჟენკოვს და სწორედ ის იყო, რომ კოზაჩენკო შეხვდა:

— ახალი ამბავი, ანდრეი ფილიმონოვიჩ! ტრესტის მმართველი წინადადებას გვაძლევს თქვენს ნაცვლად მთავარ მარკშეიდერად პოლინა ჩუმაჩენკო დავაწინაუროთ!

ოჰო, ხედავ, როგორ კარგად იცნობს თურმე მმართველი ადამიანებს?.

— რას იტყვით, ანდრეი?

— რას ვიტყვი!—კოზაჩენკომ უკმაყოფილოდ მოჭმუხა წარბები.— მე კი ვფიქრობდი ჩუმაჩენკო როგორმე ჩვენს შახტში წამეყვანა.



რიჟენკოვმა კატეგორიულად მოუჭრა:

— ეგ, ანდრეი ფილიმონოვიჩ, არასოდეს არ იქნება!

პოლინა ჩუმაჩენკო შახტის მთავარი მარკშეიდერი გახდა. ახალი, პასუხსაგები თანამდებობის დაკავება ჩუმაჩენკოს გარეგნულად არ დასტყობია. მას ჩააბარეს კოზაჩენკოს ყოფილი «კაბინეტის»—პატარა ოთახის გასაღები და როცა ამ კაბინეტში შევიდა, უწინარეს ყოვლისა სამუშაო მაგიდის წესრიგში მოყვანას შეუდგა. სამაგიდო შუშისქვეშ ნაცნობი ხელით ნაწერი რვეული შენიშნა ეს აღმოჩნდა კოზაჩენკოს მოხსენების თეზისები, სადაც ზედმიწევნითი სიზუსტით იყო ჩამოთვლილი მთავარი მარკშეიდერის მოვალეობანი... მარკშეიდერმა უნდა განსაზღვროს წიაღში სამთოგამონამუშევართა მიმართულება და კუთხეები, უნდა შეადგინოს მიწისქვეშა სამთომოსამზადებელი სამუშაოების გრაფიკი მონიშნოს სანგრევების მოსაწყობი პუნქტები, თვალყური ადევნოს, სამთო სამუშაოების წარმოებას, გამოითვალოს წიაღში მდებარე ქვანახშირის მარაგი...

მუშაობდა პოლინა ჩუმაჩენკო შახტის მთავარ მარკშეიდერად. ყოველივე წესსა და რიგზე იყო. სამარკშეიდერო განყოფილების მუშაობის შესახებაც არავითარი საყვედური არ გაისმოდა. მაგრამ სამთო დარგი, მიწისქვეშა მუშაობა ყოველთვის აღსავსეა ათასგვარი მოულოდნელობით, და აქაც იჩინა თავი ისეთმა მოვლენამ, რომელიც პოლინა ჩუმაჩენკოსათვის თუმცა არ იყო მოულოდნელი, მაგრამ შახტის მთავარი ინჟინრისათვის, ივანე რიჟენკოვისათვის სავსებით მოულოდნელი იყო.

მიწისქვეშა კაპიტალური გამონამუშევრის გაყვანა წინათ დაპროექტებული იყო ერთი მიმართულებით. მთავარმა ინჟინერმა ეს პროექტი დაიწუნა და მოითხოვა იგი გადმოეტანათ აქეთკენ, უკვე გაყვანილი გამონამუშევრიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, რათა სამუშაოთა შესრულება შახტის ხელმძღვანელებს ნაკლები დაჯდომოდათ. პოლინა ჩუმაჩენკო ასეთი ვარიანტის წინააღმდეგ წავიდა და მოითხოვა ახალი გამონამუშევრის ხაზი ძველი გამონამუშევრისათვის სულ ცოტა 20 მეტრით მაინც დაეშორებინათ.

— მცირე ეკონომიის გაწევას სჯობს რისკი არ გავწიოთ, ფენათა გეოლოგიური სტრუქტურა აქ მეტად რთულია. სავსებით შესაძლოა ფხვიერმა ქანებმა სამთო წნევას ვერ გაუძლონ, გამონამუშევარი დაინგრეს და ეკონომიის ნაცვლად შახტს დიდი ზარალი მოუვიდეს!

არ დაუჯერა მაშინ მთავარმა ინჟინერმა ივანე რიჟენკოვმა მარკშეიდერ ქალს და, აი უკვე მოხდა ის, რასაც მარკშეიდერი წინასწარ ითვალისწინებდა. უბნის ხელმძღვანელი მიხეილ კულიკოვი დაწვრილებით მოუთხრობდა რიჟენკოვს და ჩუმაჩენკოს, რომ მუშაობის განგრძობა ამ უბანზე შეუძლებელია. საჭიროა გამონამუშევრის ხაზის მიმართულების შეცვლა, ახალი მიმართულებით გადატანა. პოლინამ გაითვალისწინა, რომ ახლა პირადი ანგარიშსწორების დრო არ იყო, სიტყვაც არ დასცდენია მთავარ ინჟინერთან მაშინდელი შეჯახების შესახებ, არ უგრძნობინებია მისთვის—ხედავ მე აღმოვჩნდი მართალი და არა შენო.

— თქვენი აზრი როგორია, პოლინა ვასილევნა?—მორცხვი კილოთი ჰკითხა რიჟენკოვმა ჩუმაჩენკოს.

— თქვენი აზრი მინდა ვიცოდე!

— ვფიქრობ საჭიროა აქეთ მხარეს გამაგრება,—მთავარმა ინჟინერმა ფანქრის წვერით მონიშნა ნახაზზე ადგილი,—შემდეგ ხაზი გადავტეხოთ მარცხნივ სწორკუთხოვნად...

— და შემდეგ წავიდეთ ამ მიმართულებით,—განაგრძო მთავარი ინჟინრის მოსაზრების განმარტება ჩუმაჩენკომ, ფანქრით გახაზა გამონამუშევრის ხაზის ახალი მიმართულება.

ამ შემთხვევის შემდეგ შახტის მთავარი ინჟინერი განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდებოდა მთავარ მარკშეიდერს და, როდესაც ერთხელ ტრესტის მმართველმა თითქოს შემთხვევით, ტელეფონით სხვა საქმეების შესახებ გამოსაუბრების შემდეგ ჰკითხა რიჟენკოვს, როგორ მუშაობს პოლინა ჩუმაჩენკოო, პასუხად მიიღო:

— კარგად, ცუდს ვერაფერს იტყვის მის შესახებ კაცი!

— ხედავ, ის კი წასვლას მოითხოვს!

— როგორ თუ წასვლას?

— ჰო, წასვლას, სურს სწავლა განაგრძოს!

ეს საუბარი ხდებოდა სწორედ იმ დღეს, როცა პაპა ხარლამპის საყვარელმა შვილიშვილმა პოლინამ საჩუქრად საგულემოქარგული პერანგი მიუტანა.

ს. ბოგდანოვიჩი.

ქ. კიევი

ბ ე ლ ო რ უ ს ი ი ს ს ს რ

ტერიტორია—207,6 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.)—8 მილიონი. დედაქალაქი—მინსკი.

ჭაობიანი ტყეების—პოლესიეს ქვეყანა, რომელსაც სელის მეტი თითქმის არაფერი არ გაჰქონდა ცარიზმის დროს რუსეთის ბაზარზე; ღარიბი ქვეყანა იყო, ღარიბი ხალხით.

ამჟამად რესპუბლიკაში 2500-მდე საწარმოა, ბელორუსიაში დამზადებული ავტომანქანები, ტრაქტორები, დაზგები, რადიომიმღებები შეიძლება შეგხვდეთ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც—ინდოეთსა და შორეულ ურუგვაიში, ჩინეთსა და ბირმაში.

სინანულით იგონებენ ბელორუსები უდღეური გორეცკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს (გახსნეს 1848 წელს და დახურეს 7 წლის შემდეგ), მის ნაცვლად რესპუბლიკის ახალგაზრდობა 24 ინსტიტუტში ეწაფება მეცნიერებას.



# „ჩაპაეველთა" ხელმძღვანელი

ყოველი პატიოსანი საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში დროდადრო არის წუთები, როცა იგი კრიტიკულად გადახედავს განვლილ გზას და ამასთან ამოწმებს თავის ძალასა და უნარს—რის გაკეთებას შესძლებს მომავალში საერთო საქმის სასარგებლოდ.

ირინა შკატენკოსათვის ასეთი წუთი დადგა 1953 წლის შემოდგომაზე, როცა იგი, აგრონომი, ახალგაზრდა კომუნისტი, ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

— შევძლებ კია ფეხზე წამოვაყენო მეურნეობა, აღმომაჩნდება საამისო ძალა და უნარი?—უტრიალებდა ქალს თავში და იგონებდა ნაცნობებს, რომლებიც გაცილებით დიდ სიძნელეებს შეეჭიდნენ და გაიმარჯვეს. ხსოვნაში ცოცხლდებოდნენ განვლილი დღეების დაუვიწყარი სურათები—შეხვედრა პარტიზანულ რაზმში კონსტანტინე ზასლონოვთან, პარტიზანული ბრიგადის მამაც მეთაურთან, საუბრები სახელგანთქმულ მფრინავ ვალენტინა გრიზოდუბოვასთან, კოლმეურნეობა «რასსვეტის» თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირ კირილე ორლოვსკისთან; ალექსი მარესიევიც მოიგონა, განსაცვიფრებლად ძლიერი სულისა და ნებისყოფის საბჭოთა მფრინავი...

და ირინამაც გადაწყვიტა—ებრძოლა და გაემარჯვა. როგორ გაუჭირდა პირველ ხანებში! ღამეებს ტეხდა იმაზე ფიქრით, თუ რა გამოსავალი ეპოვა, როგორ გამოეყვანა კოლმეურნეობა ჩიხიდან. დღისით კი არაფერს იმჩნევდა—კოლმეურნეები თავიანთ თავმჯდომარეს ყოველთვის დინჯსა და აუღელვებელს ხედავდნენ.

— ერთ ადგილზე ტკეპნას ბოლო უნდა მოვუღოთ!—მტკიცედ განუცხადა ერთ დღეს კოლმეურნეებს ირინამ.

სწორედ იმ ხანებში პარტიამ დიდი დახმარება აღმოუჩინა სოფლის მეურნეობის მუშაკებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით ფართო გასაქანი მიეცა საკოლმეურნეო ინიციატივას, გაუქმდა მთელი რიგი ხელოვნური მუხრუჭები, რომლებიც აბრკოლებდნენ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას, კოლმეურნეებმა დიდი მატერიალური დაინტერესება მიიღეს...

გამარჯვების რწმენა გაუძლიერდა ირინა შკატენკოსაც.

— მტს-ების რეორგანიზაციამ და კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიყიდვამ,—ამბობს ირინა,—ხელები გაგვიხსნა. ახლა აღარ გვჭირდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან «ვაჭრობა».

ბელორუსია ოდითგანავე განთქმულია სელით. ეს კულტურა დიდ ჯაფას მოითხოვს, სამაგიეროდ შრომას ასწილად ანაზღაურებს. ომისშემდგომ წლებში ბევრი კოლმეურნეობა წამოაყენა ფეხზე სელის კულტურამ, ბევრი ოჯახი გახადა შეძლებული.

ირინა შკატენკოც დიდ იმედებს ამყარებდა სელის მოშენებაზე, მაგრამ მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდა.

— ჩვენს მიწაზე სელი არ იხეირებს,—ამბობდნენ ზოგიერთები,—წყალში ჩავყრით შრომასაც და თესლსაც.

ირინა ისეთი ქალი როდია, ადვილად რომ დაჰყაროს ფარ-ხმალი. მოეთათბირა მერგოლეურებს, მოწინავე კოლმეურნეებს და მისთვის ნათელი გახდა—უნდობლად უყურებენ კოლმეურნეები სელს იმიტომ, რომ არ იცნობენ ამ კულტურას, არ იციან მისი მოვლის წესები.

— ვისწავლოთ!—თქვა თავმჯდომარემ.

... მთელი დღის ორომტრიალით დაქანცული ირინა, საღამოობით კოლმეურნეებს ასწავლიდა...

— შენ, ირინა, ჩვენთან ისე ხარ, როგორც მობინადრე. ვიღვიძებთ. წასული ხარ, ბრუნდები და გვძინავს,—ეუბნებოდა ქმარი.

თუმცა კარგად იცოდა ქმარმა რა გასაჭირი ადგა ცოლს.

ირინა გახდა. მაგრამ როგორ გაიხარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მეცადინეობა კალაპოტში ჩადგა, როცა მერგოლეურები, რომლებსაც თავმჯდომარის დაუცხრომელი ენერგია გადაედოთ, მოწყურებული დაეწაფნენ სწავლას.

შედეგმაც მოლოდინს გადააჭარბა: მეორე წელს კოლმეურნეობამ ყოველ ჰექტარზე 5,5 ცენტნერი სელის ბოჭკო და 5 ცენტნერი თესლი მიიღო. ოლგა კრიველის რგოლმა თვითეული ჰექტარი სელის ნათესიდან 22 ათასი მანეთის შემოსავალი მისცა კოლმეურნეობას, ოლგა ზანკოს რგოლმა—20 ათასი მანეთი...

— რაო, ნიადაგი შეიცვალა?—ეკითხებოდა ხუმრობით ირინა კოლმეურნეებს და იქვე უმატებდა:—ყოველი საქმე ცოდნას მოითხოვს!

დაუჯერეს კოლმეურნეებმა თავმჯდომარეს, უყოყმანოდ გაჰყვნენ ყველა საქმეში. ახლა ხშირად გაიგონებთ კოლმეურნეობაში.

— ასე თქვა ირინა თედორეს ასულმა...

— თავმჯდომარე გვირჩევს, პირველად ამ საქმეს მოვკიდოთ ხელი...

გავიდა წელი, მას მეორეც მიჰყვა და ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობაზე ალაპარაკდნენ რაიონში, ოლქში. 9-ჯერ გაიზარდა არტელის შემოსავალი. მტკიცედ დადგა ფეხზე მეურნეობა.

ჩასჭიდა რა ხელი საზოგადოებრივი მეურნეობის დიდი ჯაჭვის ერთ რგოლს, ირინა შკატენკომ ამოზიდა მთელი ჯაჭვი. ფართოდ გაჩაღდა საკოლმეურნეო მშენებლობა. ომის დროს ლეპელის რაიონი დიდად დაზარალდა. ფაშისტმა ოკუპანტებმა გაანადგურეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ნაგებობანი, გადასწვეს სოფლები, დაანგრიეს სოფელი სტაროე ლიადნოც—ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრი. ირინა შკატენკოს მიწურებიდან ამოსული დახვდა კოლმეურნეები, მაგრამ საკოლმეურნეო ნაგებობათა აღდგენაზე არავის ეფიქრა. ადგილზე დურგლები არ ჰყავდათ. მშენებლობა ძვირი ჯდებოდა.

— დროა შევქმნათ დურგლებისა და ქვისმთლელების სამშენებლო ბრიგადა,— განაცხადა თავმჯდომარემ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე,—დავურიცხოთ შრომადღეები და დაე, იმუშაონ მუდმივად...

და ორი წლის მანძილზე კოლმეურნეობაში აშენდა მეცხოველეობის 11 ახალი ფერმა, გარაჟი 5 ავტომანქანისათვის, კლუბი, კანტორა, აიგო კოლმეურნეთა მრავალი საცხოვრებელი სახლიც.

მაინც ვერ ისვენებდა თავმჯდომარე: კოლმეურნეობა მოღონიერდა, მაგრამ მეცხოველეობა ისევ ჩამორჩენილი იყო. და აი გამოჰყვეს საუკეთესო კოლმეურნეები მწველავებად, მეხბორეებად, მეღორეებად. გააუმჯობესეს საკვები ბაზა. რძის წარმოება 5 წლის მანძილზე რვაჯერ და მეტად გადიდდა—100 ჰექტარ მიწის სავარგულზე 26 ცენტნერიდან 210 ცენტნერამდე გაიზარდა, ხოლო ხორცისა—8 ცენტნერიდან 35 ცენტნერამდე კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა, 2.800 ათას მანეთს მიაღწია. დოვლათით აივსო კოლმეურნეთა ოჯახები. არიან ოჯახები, რომლებიც შრომადღეებზე იღებენ ტონაზე მეტ ხორბალს, ბევრ ბოსტნეულს, პირუტყვის საკვებს, ფულს...

ახლა სოფელში ლაპარაკობენ არა პურზე და კარტოფილზე, არამედ ძვირფას ტანსაცმელსა და ავეჯზე. ახალგაზრდებს აღარ სურთ იცეკვონ გარმონის აკომპანიმენტით. ისინი თავმჯდომარეს სთხოვენ სასულე ორკესტრის შეძენას. კოლმეურნეობას ახალი კლუბი აქვს, მაგრამ კულტურის სახლიც უნდათ, სტაციონალური კინოდანადგარიც...

ერთი წლის წინათ ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფი, სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის, საბჭოთა მთავრობამ ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა. ირინა შკატენკომ ლენინის ორდენი მიიღო.

იმ დღეებში, როცა საბჭოთა ადამიანები განიხილავდნენ პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს, ხშირად იკრიბებოდნენ ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, საუბრობდნენ პერსპექტივებზე, შესაძლებლობებზე, იმაზე, თუ რას გააკეთებენ მომავალში...

ერთ დღეს ირინამ საერთო კრებაზე განაცხადა:

— კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ფიქრობს, რომ ჩვენ შევძლებთ შვიდწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულებას. რას იტყვით თქვენ?

ჩაპაეველები მიეჩვივნენ «მაღლა ფრენას», მაგრამ ეს მეტისმეტი იყო.

— მგონი ვერ მოვერევით.—უნდობლად თქვა ერთმა.

— მოვერევით!—მტკიცედ განაცხადეს სხვებმა.

— მოიგონეთ როგორი ვიყავით ხუთი წლის წინათ. ვინ დაიჯერებდა, რომ ჩვენი ძროხები სამი ათას ლიტრ რძეს მოიწველიდნენ!

გვიან ღამემდე გაგრძელდა კრება. იმსჯელეს, აწონდაწონეს, ყველა შესაძლებლობა გაითვალისწინეს და გადასწყვიტეს— სამ წელიწადში შეასრულონ შვიდწლიანი გეგმა—ეს ნიშნავს მარცვლეული კულტურის მოსავალი ჰექტარზე აიყვანონ 18 ცენტნერამდე, 100 ჰექტარი მიწის სავარგულზე მიიღონ 470 ცენტნერი რძე და 60—70 ცენტნერი ხორცი...

ლაღად გაშალა კოლმეურნეობამ ფრთები. მისმა მეთაურმა ამ დღეებში ერთხელ კიდევ გადაიტანა ისეთი ღელვა, როგორიც მაშინ, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაასახელეს—იგი მოსკოვში წარგზავნეს,—როგორც XXI ყრილობის დელეგატი ბელორუსიის კომპარტიიდან.

იჯდა მატარებელში მოკრძალებული ქალი შავი კოსტუმით, მკერდზე ბელორუსიის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშნით, თვალს აყოლებდა ვაგონის ფანჯარაში გამკრთალ ტყეებსა და თოვლით დაფარულ მინდვრებს და ფიქრობდა ჩვენს ხვალინდელ დღეზე, კომუნისტების დიად პარტიაზე, რომელმაც ამ სიმაღლეზე აიყვანა უბრალო გლეხის ქალი, პარტიაზე, რომელსაც მილიონობით ადამიანი მიჰყავს ნათელი მომავლისაკენ—კომუნიზმისაკენ.

**ნ. ხერზეევა.**

ქ. მინსკი,

## ტაჯიკეთის სსრ

ტერიტორია 142,5 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.) – 1,8 მილიონი. დედაქალაქი—სტალინაბადი.

რევოლუციამდე ტაჯიკეთში არ იყო არცერთი საქარხნო ან საფაბრიკო საკვამლე მილი. რუდაქის სამშობლოში 200 კაცზე ერთი მწიგნობარი მოდიოდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ტაჯიკეთში შეიქმნა მსხვილი სამთომადნო მრეწველობა, აბრეშუმის, საფეიქრო და საკონსერვო წარმოება.

მთავარი სიმდიდრე რესპუბლიკისა არის „თეთრი ოქრო"—ბამბა. ტაჯიკეთი ბამბის მოსავლიანობით პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

დიდიხანია წარსულს ჩაბარდა უწიგნურობა, ტაჯიკი ხალხის სამსახურშია 2.500 სკოლა, ათობით უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებელი, მეცნიერებათა აკადემია.

### როზია ოზიდი

ტაჯიკი პოეტესა

* * *

*სამადლობელი სიტყვა მაქვს*
*დიდი რუსეთის ხალხთან:*
*მადლობა!—ჩემი ქვეყანა*
*თავისუფალი გახდა!*
*მადლობა!—ბრწყინავს მამული,*
*მიწა წალკოტთა, ბაღთა...*
*მადლობა! – ჩემი ყოველი*
*ოცნება შენით ახდა!*



ტაჯიკმა ხალხმა შექმნა ბევრი კარგი, ლამაზი სიმღერა და მღერის მათ ძველებური ეროვნული საკრავის რუბობის აკომპანიმენტით. ტაჯიკეთში წინათ არც იცოდნენ რას ნიშნავდა სიტყვა «თეატრი». ახლა რესპუბლიკაში არსებობს დრამატული, საოპერო და საბალეტო დასები, მხატვრული თვითმოქმედების ასობით კოლექტივი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ რესპუბლიკური ფილარმონიის მერუბობეთა ანსამბლის მონაწილეებს—მთებისა და მზის ქვეყნის ქალიშვილებს.

## ყაზახეთის სსრ

ტერიტორია—2756 ათასი კვ. კმ.. მოსახლეობა (აპრილი 1956 წ)—8,5 მილიონი. დედაქალაქი—ალმა-ატა.

ისტორიამ შემოინახა ინგლისელი კაპიტალისტის ლესლი ურკვარტის თავხედური მიმართვა საბჭოთა მთავრობისადმი. იგი წერდა „ხომ არ მომცემდით უფლებას მოვჩხრიკო ყაზახეთის სტეპები ბალხაშთან და იქით? თქვენ 50 ან იქნებ 100 წელზე ადრე ვერ მოიცალოთ ამ ადგილებისათვის. მე კი მოვძებნი და ვიპოვნი რამეს".

მაგრამ საბჭოთა ადამიანებს დასჭირდათ სულ რაღაც ორი წელიწადი, რომ აეთვისებინათ მდიდარი უკაცური ველები. 1954—1956 წწ. აითვისეს 20 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. მარცვლეული კულტურის ბეღლად იქცა ყაზახეთის რესპუბლიკა, რომელიც პირველ ადგილზეა სსრ კავშირში სპილენძისა და თუთიის მოპოვებაში.

რევოლუციამდელ უწიგნურობის ქვეყანაში 9240 სკოლა და 26 უმაღლესი სასწავლებელია.

---

# იგი უყვარს ხალხს

უშველებელი ლამაზი სასახლის წინ მხარბეჭიანი ახალგაზრდა კაცი ზის. ის მოუსვენრად შესცქერის სასახლის კარებს, ვიღაცას ელის. ის, ვისაც ელოდება, იქიდან უნდა გამოვიდეს...

მოულოდნელად ვიღაცამ კარებს შიგნიდან ფეხი ჰკრა. კოვზები და ჩამჩები, მაშა და ნიჩაბი ერთმანეთის მიყოლებით მოფრინავენ. მათ მოჰყვება აბრეშუმის საბნები და ღუნღულა ლეიბები...



კატარინა—«ჭირვეულის მორჯულება».



ჰაფიზა—«აბრეშუმის სუზანა».

უკანასკნელად გამოვიდა, არა, კი არ გამოვიდა, გამოფრინდა ამ სურათის შემოქმედი ქალი! ტუჩები — მარჯანი, თვალები — მწიფე ყურძნის მარცვლები, დედოფლური მიმოხვრა, გრძელი კაბა იატაკზე მისრიალებს ...ეს ქალი იყო ამ წუთს რომ სცემდა და სახლიდან აგდებდა საკუთარ მამას... ეს ისაა, ცნობილი, ამაყი, ჭირვეული! ის მისალმების მაგიერ უცნობ მამაკაცს სილას გააწნავს და ხარხარებს, დასცინის შემცბარს...

ჭირვეულის ეს საინტერესო სახე ყაზახეთის დრამატული თეატრის სცენაზე შექმნა ხადიშა ბუკეევამ. ვინც პირველად ხედავს ამ სპექტაკლს, არ დაიჯერებს, რომ ეს თამაშია, იმდენად ბუნებრივია მსახიობი.

ხადიშა ბუკეევა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც ისტორიაში პირველად დაუკავშირა ერთმანეთს ორი ცნება: ყაზახი ქალი და მსახიობი. იგი ეკუთვნის ცნობილ კულიაშ ბაისეიტოვას და შარას, ჟამალ ომაროვას და რახია კაიჩუბაევას თაობას.

თავის მრავალწლიან არტისტულ მოღვაწეობაში ბუკეევამ შექმნა სახეები, რომლებიც დაუვიწყარი იქნება მაყურებლისათვის. ესენია ყაზახი ქალიშვილი—ინჟინერი საულე, ა. აბიშევის პიესაში «მეგობრობა და სიყვარული», ელიზა—მოლიერის «ძუნწში», მეხბენე ბანუ—ნ. ჰიქმეთის «ფარჰად და შირინში», კატერინა—ნ. ოსტროვსკის «ქარიშხალში».

ხადიშა არაჩვეულებრივი დამაჯერებლობითა და საოცარი გარდაქმნით თამაშობს სცენაზე ინგლისელ კატარინას და რუს კატერინასაც, უკრაინელ ნატალია კოვჩუკს და ყაზახ საულესაც.

ერთმანეთისაგან განსხვავებული სახეები, სხვადასხვა ხასიათები—ერთი მსახიობი. ხადიშას ნიჭის ძალა იმაშიცაა, რომ მის მიერ შექმნილი სახის გჯერა, თვითეული სახე გიტაცებს, გაღელვებს.

ხადიშა შესანიშნავად ფლობს რუსულ ენასაც და წარმატებით თამაშობს მარიას სოლოვიოვის პიესაში «ივანე მრისხანე.»

1953 წელს სპექტაკლ «აბაიში» შექმნილი სახისათვის მას სტალინური პრემია მიენიჭა.

— შორიდან წარმატებები ადვილი და ლამაზი ჩანს,—ამბობს ხადიშა,—სინამდვილეში ასე როდია. თვითეული ახალი როლი ხანგრძლივი, მე ვიტყოდი, მძიმე მუშაობის შედეგია. თეატრი მსახიობისაგან მარტო ნიჭს არ მოითხოვს, საჭიროა დიდი იდეურ-პოლიტიკური ცოდნა და მომზადება, უამისოდ მსახიობს არა აქვს ფართო განზოგადობის უნარი, არა აქვს დიდი საზოგადოებრივი აზრები, ამიტომ მის მიერ შექმნილი სახეც სუსტი, არაფრისმთქმელი და მკრთალი გამოვა.

ბუკეევას იცნობენ და უყვართ ყაზახეთში. ამის დამადასტურებელია ის წერილები, რომლებსაც მსახიობი იღებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან.

ყაზახეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის ახლახან ჩატარებულ დეკადაზე მოსკოვში ხადიშა ბუკეევა ხელოვნების სხვა საუკეთესო მოღვაწეებთან ერთად დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ხადიშა თანამედროვეობით ცხოვრობს. ახლა ის ოცნებობს სცენაზე შექმნას ახალი ყაზახი ქალის სახე, რომელიც დიდ საქმეებში თანაბარი ძალით უდგას მხარში მამაკაცს.

**ჟ. ბაიტანაევა.**

ქ. ალმა-ატა.

კატერინა—«ქარიშხალი»



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი პირველთაგანი

თხუთმეტი წლის მეხრი დედას დაჰყვებოდა კრებებზე. ისმენდა იგი უბრალო სიტყვებს უზბეკი ქალის მძიმე ხვედრზე წარსულში და ახალი ცხოვრების სიდიადეზე, რომელიც ის-ის იყო მკვიდრდებოდა უზბეკეთში. გრძნობდა გოგონა ამ სიტყვების დიდ სიმართლეს და გულით ეწადა მონაწილეობა მიეღო ახალი ცხოვრების შენებაში. საამისოდ სწორი გზა აირჩია—გადაწყვიტა ესწავლა. ნამაგანელ ქალთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი შევიდა წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაში, შემდეგ კი სოფლის მასწავლებელთა მოსამზადებელ ერთწლიან კურსებზე დაიწყო სწავლა. აქ მეხრი კრებების არა მარტო უბრალო მსმენელი იყო, არამედ კიდევაც გამოდიოდა სიტყვებით.

თავისებურად ამსხვრევდა ძველი ცხოვრების ბორკილებს მეხრის დედა. მან შვილების (მეხრის გარდა 8 შვილი ჰყავდა) მეთვალყურეობა მიანდო უფროს ქალიშვილს და მუშაობა დაიწყო ბამბისსაწმენდ ქარხანაში.

ახმადალი ხელს არ უშლიდა მათ. მისი აზრით, ქალიშვილიც და ცოლიც სწორად იქცეოდნენ. მაგრამ გულის სიღრმეში მაინც შფოთავდა და არც ამაოდ. ერთხელ, საღამოს მას მოლა ხაჯი-ხანი და სახლის მეპატრონე ამინ-ხანი გამოეცხადნენ. ისინი ახმადალს დაემუქრნენ: თუ მეხრი და ტაჯიხონი სახლში არ დაჯდებიან, მთელ ოჯახს ქუჩაში გაგყრითო.

— ჩვენ ხომ სახლი არა გვაქვს,—თქვა ახმადალიმ.

— გექნებათ,—შეპირდნენ მოლა და სახლის მეპატრონე:—ჩვენ დაგეხმარებით.

საქმეში ქალები ჩაერივნენ.

— აქედან დაიკარგეთ! ჩვენ გასახლებას თქვენ ვერ შესძლებთ, ძველი დრო ხომ არ გგონიათ. თუ სკანდალს ატეხთ, მილიციას შევატყობინებთ და იქ გაგცემენ პასუხს.

ასე დაიწყო მეხრის ახალი ცხოვრება. მალე მან კურსები დაამთავრა და მასწავლებლობა დაიწყო ნამაგანთან ახლოს სოფელში. მეხრი არამარტო ბავშვებს ასწავლიდა. ის ქალებს განუმარტავდა საბჭოთა ხელისუფლების არსს, ურჩევდა მოეხსნათ ჩადრი. სოფლის მცხოვრებლები განზე რომ არ გადგომოდნენ, პირველხანებში თვითონაც ჩადრით დადიოდა. თუმცა ქალაქში ყოფნისას ყოველთვის სახე ღია ჰქონდა.

1926 წლის 8 მარტია... დღეს მეხრიმ სხვა ქალებთან ერთად ნამაგანის ცენტრში მოედანზე ყველას თვალწინ ცეცხლში ჩასწვა ჩადრი და სოფელში უჩადროდ დაბრუნდა.

მეორე დღეს მოსწავლეები სკოლაში არ გამოცხადდნენ, მშობლებმა არ გამოუშვეს.

მეხრის გაბედულმა მაგალითმა მაინც გავლენა მოახდინა—სოფლის ქალები ნელნელა იშორებდნენ ჩადრს, სკოლაში მეცადინეობა განახლდა.

დიდი შიში გადაიტანა მეხრიმ მიწის რეფორმის დროს. იგი იყო მიწის განმანაწილებელი კომისიის წევრი, ქალთა პირველი სასოფლო-სამეურნეო არტელის ორგანიზატორი. ბაიებმა[1] შეიძულეს აქტივისტი მასწავლებელი ქალი, დაუწყეს დევნა. არაერთხელ გადაირჩინა მან თავი თივაში დამალვით.

როცა ქალთა არტელის მინდვრებზე მოსავალი დამწიფდა, მდიდრებმა მისი მითვისება გადაწყვიტეს. ბნელი ღამით ისინი ურმებით მივიდნენ მოკრეფილი ბამბის წასაღებად. მეხრიმ თავი მოუყარა ქალებს, ვისაც როგორ შეეძლო შეიარაღდა, მომხვდურებს შეუტიეს და ყიშლაკიდან გაყარეს.

1929 წელს მეხრი ნამაგანში გადაიყვანეს. აქ იგი ჯერ ქალთა კლუბს ხელმძღვანელობდა, შემდეგ 1939 წლამდე სკოლის დირექტორი იყო. ამ წლებში დაამთავრა ნამაგანის პედტექნიკუმი და დაუსწრებლად—ფერგანის სამასწავლებლო ინსტიტუტი. პარტიაში შევიდა.

გადიოდა დრო. მეხრი პარტიულ აპარატში მუშაობდა, არაერთხელ აირჩიეს პარტიის ნამაგანის საქალაქო კომიტეტის მდივნად, საოლქო კომიტეტის წევრად.

ახლა მეხრი აბდურახმანოვა ნამაგანის სართავ-საქსოვი ფაბრიკის დირექტორია, უცვლელი დეპუტატია საქალაქო საბჭოსი. სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის ნიშნად მის მკერდს ამშვენებს შრომის წითელი დროშის ორდენი და ორი მედალი.

კ. აქსიონოვა.
ქ. ტაშკენტი.

1 ბაი-ბატონი.

## უზბეკეთის სსრ

ტერიტორია—409,4 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.)—7,3 მილიონი. დედაქალაქი—ტაშკენტი.

ოდესღაც დიდი რუსი მწერალი სალტიკოვ-შჩედრინი ტაშკენტის შესახებ სწერდა. „თუ თქვენ იმყოფებით ქალაქში, რომლის სტატისტიკურ მონაცემებში ნათქვამია: მცხოვრები ამდენი,... სასწავლებლები არ არის, ბიბლიოთეკები—არაა, ღვთისმსახურების დაწესებულებები—არა და ასე შემდეგ—თქვენ შეგიძლიათ უშეცდომოდ თქვათ, რომ იმყოფებით... ტაშკენტში".

ოქტომბრის რევოლუციამ მთლიანად უცვალა სახე უზბეკეთს და მის დედაქალაქს, მწვანეში ჩაფლულ სამრეწველო ქალაქს სატელევიზიო ანძა გადმოჰყურებს მეჩეთის მინარეთის ნაცვლად. ტაშკენტი განახლებული შუა აზიის აყვავებულ ცენტრად იქცა.



## ზულფია

* * *

რაც მაგ თვალების შუქი არ მათბობს,
შენზე სევდები სულს შემოენთო...
ო, ისევ შენთან საუბარს ვნატრობ
ძვირფასო,
        ჩემო სულის პოეტო!

გადავშლი წიგნს და... ის სტრიქონები
შენ რომ დაქსოვე ისე სათუთად,
კვლავ ჩვენს სიყვარულს მომაგონებენ
და უშენობა გულს აღარ უნდა.

ძალა—ჩვენ გულებს რომ აერთებდა—
ვგრძნობ, ერთი-ასად გაზრდილა ახლა...
გულს ვერ უბრძანებ გადავიწყებას—
იგი ხომ ყველა ჯებირებს ლახავს!

ო, რომ შემეძლოს ბუნების ჯიბრზე,
ღმერთების ჯიბრზე, მტრების ჟინაზე,
გავაცოცხლებდი ბაგეზე ისევ,
ყველა კოცნას და ყველა სინაზეს!

მაშინ პირველად, ძვირფასო, გესმის?
მე შენს წინ მუხლზე დავიჩოქებდი,
რომ აღვიბეჭდო კვლავ შენს თვალებში,
ამ სიყვარულით და ჩემი ბედით!

თარგმნა მარიკა ბარათაშვილმა.

პოეტმა ეს ლექსი მიუძღვნა სამამულო ომში დაღუპულ მეუღლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სალამ-ალეიქუმ, ფირუზა-ხანუმ!

ახმაურებულ ბაზარში, ჭერმებისა და ხესვების გროვებსა და საზამთროების პირამიდებს შორის, უზარმაზარ ქვაბებში, რომლებშიც აბგუშტი*) იხარშებოდა, თავისი უჩინარი საქონელი გამოეშალათ ფალჩებს—მკითხავებს. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მუშტრის შოვნაში, გაჰყვიროდნენ და გამვლელებს კალთას აგლეჯდნენ. ზოგიერთი გამვლელი გაჩერდებოდა და მკითხავს გაუხეშებულ ხელის გულს უჩვენებდა. და ისიც დაჰყურებდა ღრმა ღარებს, როგორც ზღაპრულ გზებს.

ფირუზა ქერიმოვას სამუდამოდ დაამახსოვრდა მკითხავის მიერ დაპირებული ბედნიერება:

— გათხოვება გიხსნის ცხოვრების ცდუნებათაგან.

მკითხავი დედაბრის აზრით, მხოლოდ გათხოვებას შეეძლო ყოველი აზერბაიჯანელი ქალის გაბედნიერება. აბა, საიდან ეცოდინებოდა მას, რომ ფირუზას ბედი უკვე სამუდამოდ და სულ სხვაგვარად გადაწყდა?

1919 წლის აპრილში ფირუზას სახლში მოვიდა რუსი კომუნისტი ქალიშვილი დუნია კაჩაევა, რომელიც მუსავატელთა პოლიციას ემალებოდა. ის ჯერ ფირუზას ძმას ეჩურჩულებოდა, შემდეგ კი ქალიშვილს მიუბრუნდა:

— გაიგე, მოსკოვში რა მოხდა? იქ ბევრი-ბევრი ქალი შეიკრიბა— სულ ჩვენისთანა უბრალო ადამიანები. მათ წინაშე ლენინი გამოვიდა. ქალებმა გადაწყვიტეს: გვეყო კარჩაკეტილობა!

— ლენინი ხომ კაცია! როგორ გამოვიდა ქალებთან?—გაოცდა ფირუზა.

დუნიას გაეცინა. შუაღამემდე ესაუბრა იგი ქალიშვილს და როცა წავიდა, ფირუზა ისე იყო შთაბეჭდილებებით სავსე, რომ არ დაეძინა. ბაღში გავიდა და დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა. დაბას ვარსკვლავები დაციმციმებდნენ, ჰაერში კვამლის სუსტი სუნი ტრიალებდა.

მეზობელ სახლთან ქალის ტირილი ისმოდა ფირუზას მოეჩვენა, რომ ეს ქალი სულ ასე ტირის, მარადჟამს. ასე წლების მანძილზე გამოიტირა თავისი ახალგაზრდობა დედამისმა—რეიხანმაც. ფირუზას გაახსენდა თავისი გაუხარელი მეგობრები, რომლებიც ისე მალავენ სიცილს, როგორც სახეს ჩადრში.

ფირუზას მოეჩვენა, რომ ძველი სამყარო ისე მტკიცედ დგას, როგორც პოლიციელი კასიმი ბალახანის მუშათა უბნის ბინძური ქუჩების გზაჯვარედინზე. მუშები უთენია მიდიოდნენ სარეწებისაკენ. მეპატრონის დანახვაზე იხდიდნენ მაზუთით გაქონილ ქუდებს. ზოგჯერ გზაზე ეტლი გამოჩნდებოდა: ვინმე მდიდარი ბაქოში საქეიფოდ მიდიოდა. ჩადრის მძიმე ნაკეცებში გახვეული, ჩუმად, შავი აჩრდილივით კედელკედელ მიიპარებოდა ქალი.

14 წლის იყო ფირუზა, როცა პირველად წაუღო მუშებს ჩადრის ქვეშ დამალული კომუნისტური პროკლამაცია. იმავე დღეებში სხვა აზერბაიჯანელმა ქალმა გასაჩხრეკად მოსულ პოლიციელებისაგან ჩადრში დამალა ქმრის მაუზერი. აი როგორ იყენებდნენ იმ პერიოდში ჩადრს აზერბაიჯანელი ქალები მათ წინააღმდეგ, ვინაც სთვლიდა, რომ უჩადროდ ქალების ცხოვრება შეუძლებელია.

1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. სულ მალე ბაქოს ცენტრში ერთერთი შენობის კარებზე გაჩნდა წარწერა—«ტიურუკ კანდლარ კლუბუ». აზერბაიჯანის ისტორიაში ეს იყო ქალთა პირველი კლუბი. კლუბში მთელი დღე გაისმოდა საკერავი მანქანის ხმა: აქ ქალები კერვას სწავლობდნენ. სულ მოკლე ხანში ჩამოყალიბდა მემანქანეთა, მოანგარიშეთა, ექთანთა კურსები... და ვინ იცის, იქნებ საკუთარი ხელით შეკერილმა პირველმა კაბამ განუმტკიცა გუშინდელ განდეგილ ქალს საკუთარი ძალებისადმი რწმენა.

მალე ბალახანშიაც შეიქმნა ქალთა კლუბი საბავშვო ბაღით. ფირუზა თავს დატრიალებდა პატარებს: ბანდა, აჭმევდა, უყვებოდა ზღაპრებს, ათასნაირ თამაშობებს იგონებდა,ართობდა მათ და თვითონაც ბავშვივით ერთობოდა.

აქვე დაიწყო ოცნება მასწავლებლობაზე.

ქალიშვილში ნებისყოფა ყალიბდებოდა. გადაწყვიტა დაემტკიცებია უფლება საკუთარ ბედნიერებაზე, უარი განაცხადა უსიყვარულოდ გათხოვებაზე, რისთვისაც ბევრს ეძუქრებოდნენ, უშედეგოდ. შემდეგ კი მასთან ნამდვილი სიყვარული მოვიდა. გამგები, ერთგული მეგობარი—ახალგაზრდა კომუნისტი აგახან ქერიმოვი.

ერთხელ აღელვებული მოვარდა აგახანი:—წამოდი, ფირუზა! კიროვი გიბარებს.

ბაქოელი კომუნისტების ხელმძღვანელი სერგეი მირონის-ძე კიროვი ხშირად ჩამოდიოდა ბალახანაში. მას ხალხისაკენ უწევდა გული ისე, როგორც ხალხი მიილტვოდა მისკენ



რაბიიას დედასთან დასვენება უყვარს. განსაკუთრებით საინტერესოა გაისეირნო საკუთარი მანქანით ბაქოს ქუჩებში.

*) აბგუშტი—ეროვნული კერძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ფირუზა მივიდა, კიროვმა პირველმა გაუწოდა ხელი.

— სალამ-ალეიქუმ, ფირუზა-ხანუმ!

რა დრო დადგა! ბაქოში პირველი კაცი ქალს ისე ესაუბრება, როგორც თანასწორს.

კიროვმა ჰკითხა:

— რატომ არ შედიხარ პარტიაში, ფირუზა-ხანუმ? შედი, შედი! აზერბაიჯანელი ქალის მონაწილეობის გარეშე ძველი ცხოვრების დანგრევა არ იქნება.

იანვრის ცივი დღე იყო. ფირუზას განცხადება უნდა განეხილათ. იგი ყველაზე ადრე მოვიდა: დაგვიანების ეშინოდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა ჯერ მამაკაცების განცხადებებს იხილავდნენ. გამოვიდნენ მუშები, მოკლედ ლაპარაკობდნენ თავისთავზე. ფირუზას უკვირდა მათი თავმდაბლობა. უცებ ვიღაცამ წარმოსთქვა: «ქერიმოვა». მეზობლების მზერა იგრძნო, წამოდგა. უნდა გავიდეს...

ტრიბუნასთან შეჩერდა. ყველაფერი გადაავიწყდა. რა სთქვას? ნუთუ თავის ხანმოკლე, 17 წლის ცხოვრებაზე ილაპარაკოს?

— დაიწყე, ფირუზა, დაიწყე!

მობრუნდა და—კიროვი. ფირუზას გულზე მოეშვა: მირონიჩი აქ არის!

ხელების ტყე აღიმართა, როცა თავმჯდომარემ იკითხა:

— ვინ არის მომხრე, რომ ფირუზა ქერიმოვა, დაბადებული 1906 წელს, მიღებული იქნას პარტიის წევრობის კანდიდატად?

ფირუზა კი ფეხს ითრევდა: რაღაც უნდა ეთქვა, რაღაც რჩებოდა გასაკეთებელი. რა?

დარბაზში განსაკუთრებული სიჩუმე ჩამოვარდა.

— აი რა,—წარმოთქვა მან აკანკალებული ხმით,—დღეს, აქავე მინდა მოვიხადო ჩადრი, სამუდამოდ!—ხელები აღმართა. ქსოვილი თითქოს უფრო დამძიმდა, არ ნებდება. უცებ ვიღაც დაეხმარა: გვერდიდან მოსწია. თითქოს ეს წახმარებაღა აკლდაო! აბრეშუმის ჩადრი ყავისფერი ჩიტივით აფარფატდა ჰაერში, მისკენ დარბაზიდან ათეული ხელები გამოიწვდინეს. ფირუზას გაუელვა: «ისევ კენჭს უყრიან». მაგრამ არა, კაცები გლეჯდნენ წყეულ საბურველს. ბოლოს ის ნაკუწებად იქცა და უკვალოდ გაქრა. თითქოს არც არსებობდა.

სახლში რომ ბრუნდებოდა, სახეს ქარს უშვერდა, გვერდით კი მოაბიჯებდა ქმარი და გამომწვევად შეჰყურებდა უჩვეულო სანახაობით დამფრთხალ ობივატელებს. ისინი ჩერდებოდნენ და პირდაღებული შეჰყურებდნენ, ხმას კი ვერ იღებდნენ—აგახანის მრისხანე მზერის ეშინოდათ.

როდესაც ფირუზას აზერბაიჯანელ ქალთა მოძრაობის ერთერთი პირველი ინიციატორი აინა სულთანოვა შეხვდა, გახარებულმა სიცილით უთხრა: «აფსუსი არ იყო ასეთი სახე ჩადრს რომ დაემალა!»

პარტიული მეგობრებისაგან ფირუზას ხშირად ესმოდა:

— სხვებს რომ ასწავლო, ჯერ შენ უნდა იცოდე ბევრი.

ახალგაზრდა ქალი სკოლაში მუშაობდა, საღამოობით კი თვითონ სწავლობდა. ქალები წერდნენ: «ჩვენში საბჭოთა ხელისუფლებაა» «ჩვენთან ყველა თანასწორია». ისინი დღაბნიდნენ ფურცლებზე და ურევდნენ ასოებს, თუმც ამ შესანიშნავ წინადადებათა აზრს შეუცდომლად გებულობდნენ.

მაგრამ ძველი ცხოვრება ადვილად არ ნებდებოდა. ჩადრმოხსნილ ქალებს ქვებს უშენდნენ ქუჩაში. ხოლო ქვებზე მძიმე ლანძღვის სიტყვები იყო. სახლიდან გამოსულს, ყოველ ნაბიჯზე შეურაცხყოფა ხვდებოდა. ჩუმად იწმენდდა ძუნწ ცრემლს. ერთი მშფოთვარე დღე არასდროს დაავიწყდება ფირუზას. ამ დღეს დაიღუპა ბაქოს ქალთა კლუბის აქტივისტი სარია ხალილოვა. ძმამ და მამამ მოჰკლეს იგი სპორტული კოსტუმის ტარებისათვის. მთელმა ქალაქმა გააცილა სარია უკანასკნელ გზაზე. ათასობით აზერბაიჯანელმა ქალმა მოიხსნა ამ დღეს ჩადრი და ხელიხელჩაკიდებული გაჰყვნენ კუბოს.

ფირუზა თავის მომავალ საქმიანობაზე ფიქრობდა. სწორედ ის დღეები იყო, როდესაც აზერბაიჯანელმა გოგონამ ლეილა მამედოვამ დაამთავრა საფრენოსნო სკოლა და პირველად აფრინდა სამშობლოს ზეცაში.

მეგობრები ეკითხებოდნენ:

— აბა, რა გადასწყვიტე, ფირუზა? სად ისწავლი?

თვალები რომ დახუჭო და ოცნებაში გადაეშვა, სიმართლე რომ ითქვას, ყველა გზა მიმზიდველია. გაზეთში წერდნენ: «არ გვყოფნის მენავთობე ინჟინრები», «სამშობლოს ნავთი სჭირდება. .»

და ფირუზამაც მიიღო გადაწყვეტილება. თუ სამშობლოს ინტერესები გამოძრავებს, არასდროს შეცდები. როცა ფირუზამ ინჟინერ-მენავთობის დიპლომი მიიღო, ერთერთმა მასწავლებელმა განაცხადა:

— ასეთი მოსწავლეები დღემდე არც ერთ სკოლას არ ჰყოლია... იოლი იყო მათთან მუშაობა. ჩვენს პედაგოგიურ საქმიანობას წინ სწევდა მათი შადრევანივით მჩქეფარე ენერგია.

ამ ენერგიითვე ჩაება პირველი აზერბაიჯანელი ინჟინერი ქალი ფირუზა ქერიმოვა შრომის ფერხულში.

წარმოებაში ბევრი მუშა უნდობლად შეხვდა ახალგაზრდა ინჟინერს:

— წინათ ქალს არასდროს ამოუღია ნავთი, უშენოდაც იოლად წავალთ!

წარმოების მთავარი ინჟინერი, რომელსაც ინსტიტუტი რევოლუციამდე დაემთავრებინა, დაცინვით ამბობდა:

## ა ზ ე რ ბ ა ი ჯ ა ნ ი ს ს ს რ

ტერიტორია—86, 6 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა (აპრილი 1956 წელი)—3,4 მილიონი. დედაქალაქი—ბაქო.

„ნავთის სარეწაოები დარჩნენ ჩემს მეხსიერებაში, როგორც გენიალურად შესრულებული ნახატი პირქუში ჯოჯოხეთისა"—ასეთი მოგონება დარჩა მაქსიმ გორკის ძველ ბაქოზე.

მოწინავე ტექნიკით არის აღჭურვილი თანამედროვე ნავთის სარეწაოები, ნავთის ჭაბურღილებმა აფშერონის ნახევარკუნძულიდან დიდი ხანია გადაინაცვლეს კასპიის ზღვაში. ზღვის ფსკერიდან იღებენ ახლა აზერბაიჯანელი მენავთოპეები ძვირფას საწვავს.

სახე იცვალა „ჯოჯოხეთურმა ქალაქმაც", „ქალაქ—სასწაულს" უწოდებენ თანამედროვეები კეთილმოწყობილ ნავთის ქალაქს—ბაქოს—საბჭოთა აზერბაიჯანის გულს.

ახლა ინდუსტრიული აზერბაიჯანის მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად აღემატება ირანის, ერაყის და თურქეთის მოსწავლეთა რიცხვს ერთად აღებულს.

---

— რაო, არ მოგწონთ? არც მე მომწონს, რომ ქალები თავს გავიდნენ.

რასაკვირველია, ფირუზას თავიდანვე შეეძლო ინჟინრის თანამდებობის დაკავება, მაგრამ ის სხვაგვარად მოიქცა. მბურღავი მუშის შემცვლელად ჩარიცხვა ითხოვა. იცოდა, რომ მარტო დიპლომით ვერ გადალახავდა საუკუნეობით შექმნილ ადათს.

ეს ტანმორჩილი ქალი არც ერთი სახის სამუშაოს არ თაკილობდა. და მის ირგვლივ მომუშავე უბრალო გულკეთილ ადამიანებს არ შერცხვათ ეღიარებინათ დამარცხება:

— გნებდებით, ფირუზა-ხანუმ! ნამდვილად გვაჯობე...

...რამდენიმე წლის წინათ აზერბაიჯანში ტურისტთა დელეგაცია ჩამოვიდა. როცა ფირუზა ქერიმოვა ხანში შესულ ინგლისელ ქალს გააცნეს, მას არაფრით არ სურდა დაეჯერებინა, რომ წინათ ჩადრიანი ქალი ახლა საბურღავი კანტორის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

— კი, მაგრამ, ოჯახი, შვილები?—ჰკითხა ფირუზა ყადაშის ასულს ინგლისელმა სტუმარმა.

— ჩემი ქალიშვილი რაბიია საშუალო და მუსიკალურ სკოლებში სწავლობს.

— მაშ, როგორღა უძღვებით ოჯახს? ალბათ, შინამოსამსახურე გყავთ?

— არა, მე საკუთარი შრომითაც ადვილად გავდივარ, ხომ არ ინებებთ ბინაზე მეწვიოთ?

ინგლისელმა ქალმა თავი დაუქნია:

— ო, იეს, იეს!.,.

ფირუზამ საკუთარი მანქანით წაიყვანა სტუმარი სახლში. ოცი წუთი მგზავრობდნენ რაიონში, რომელიც სიახლით იტაცებდა თვალს: ნავთის კოშკურები, ქარხნები და საცხოვრებელი სახლები, გზის პირას ჩაყოლებული მობიბინე ნარგავებით.

— ოღონდ არ იფიქროთ, რომ მე რაღაც განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობდე,—ეუბნებოდა ფირუზა,—ჩემი სიყმაწვილის ყველა მეგობარმა მიაღწია დიდ მიზანს. აფიდა ბაბაევა საშუალო სკოლას განაგებს, ფირუზა იბრაგიმოვა და ბერი გიული ინჟინრები არიან, ბეხრიე ყაფაროვა ნიზამის სახელობის კინოთეატრის დირექტორია, რახმა ყულიევა—მასწავლებელი, სარიე ახუნდოვა—მწერალი... ვინ მოთვლის რამდენი აზერბაიჯანელი ქალი მოვიდა მეცნიერებაში, ხელოვნებაში და მრეწველობაში ჩვენს შემდეგ!

— „დედა"—ასე ეძახიან მუშა-მენავთობეები ამ საოცრად მიმზიდველი სახის და მუდამ მომღიმარე თვალების მქონე ხანშიშესულ ქალს. ცხრა წელია მას ზედიზედ ირჩევენ ბაქოს ნავთობის უმსხვილესი რაიონის—ლენინის რაისაბჭოს დეპუტატად. ოდესღაც ამ რაიონს „ბალახანი" ერქვა. იყო დრო, როცა მის მტვრიან ქუჩებში ჩადრიანი გოგონა მიფრატუნებდა. ახლა კი ის გულიანად იცინის, როცა ახსენდება მკითხავი ქალის წინასწარმეტყველება.

**ე. პატრიკი.**

ქ. ბაქო.

## სომხეთის სსრ

ტერიტორია—29,8 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.)—1,6 მილიონი, დედაქალაქი—ერევანი.

რესპუბლიკაში შეიქმნა და სწრაფად ვითარდება ძლიერი ქიმიური მრეწველობა, ფერადი მეტალურგია, დაზგათმშენებლობა და სხვ. საქვეყნოდ ცნობილია ლენინის სახელობის ელექტროქარხნის პროდუქცია; ელექტროენერგიის წარმოება სომხეთში 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 450-ჯერ.

განუხრელად იზრდება სომეხი ხალხის კეთილდღეობა. ამის ნათელი დადასტურება მოსახლეობის ზრდა. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოსახლეობა გაიზარდა ორჯერ. მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან ერთად იზრდება მოხუცთა რიცხვიც. რესპუბლიკაში 3 ათასამდე 90 წლის და მეტი ხნის მოხუცია. აქედან 400 მოხუცი 100 წელზე მეტი ხნისაა.

---

### სილვა კაპუტიკიანი

სომეხი პოეტესა

* * *

ეს საღამო მშვიდი,
ეს საღამო წყნარი,
ჩვენგან ნაოცნებარ
საღამოებს ჰგავს.
მაშ, რადაა: როგორც
ორი უცხო მგზავრი,
მივაბიჯებთ უბრად
და არ ვიღებთ ხმას?
ეჭვის საშიშარი
გარს გვეხვევა ჯარი,
როცა ნაოცნებარ
საღამოებს ჰგავს
ეს საღამო მშვიდი,
ეს საღამო წყნარი?

ფარფატით და თრთოლვით
ციდან ცვივა თოვლი,
ეკონება ფრთხილად,
შეხე, თოვლიც თოვლს!
მაშ, რადაა: ტოლმა
არ დაინდო ტოლი?
მაშ, რადაა: ტოლი
გულს უკაწრავს ტოლს?
სიყვარულის პონით,
ლაჟვარდების მოვლით
ეკონება ფრთხილად
როცა თოვლი თოვლს—
ფარფატით და თრთოლვით
ცვივა როცა თოვლი?

თანხმობისკენ გვიწვევს
ყველაფერი ჩვენა:
მიწაც, თოვლის ფენაც
და ნათელიც ცის.
მაშ, რადაა: გული
მწუხარებით ღელავს!
მაშ, რადაა: წუთებს
რად ვიმწარებთ ტკბილს?
როცა მიწა ბრწყინავს,
როცა ზეცა ელავს,
როცა თოვლის ფენაც
და ნათელიც ცის—
თანხმობისკენ გვიწვევს
ყველაფერი ჩვენა?

* * *

სადაც არ უნდა ვშობილიყავ,
ძვირფასო, ქვეყნად,
როცა არ უნდა ვშობილიყავ,
ძვირფასო, ქვეყნად.

შენ კარგად იცი,—ოდეს შავი
წარსული მოკვდა,
ჩემი ნამდვილი დაბადება
ხელახლა მოხდა—

მე დავიბადე ათასცხრაას
ჩვიდმეტში ახლად,
მშობელ ხალხისთვის ოდეს ზეცა
გაბრწყინდა მაღლა,

დღეს ოქტომბრის ნათელი და
ბედნიერება
გადაეფინა სამშობლოს და
ქვეყნიერებას...

შენ კარგად იცი, სიხარულის
ცრემლები ვღვარე—
უტკბესი არის ჩემთვის მუდამ
სამშობლო მხარე.

თარგმნა მურმან ლებანიძემ

---

შოლიკ საფიანი

# პაწიება

**მინიატურა**

უცნაური ხალხია ეს დედები, ყველაზე უცნაური ამ ქვეყანაზე, როგორადაც არ უნდა გაიზარდოს შვილი, რა ასაკსაც არ უნდა მიაღწიოს, დედისათვის იგი მაინც «პატარაა» და «შვილიკო». იმას კი ვერ ამჩნევს დედა, რომ მის პაწიას დიდიხანია საულვაშე აუბიბინდა და განა მარტო აუბიბინდა? კარგი ულვაშებიც დაიყენა. და აი ერთ მშვენიერ დღეს გამოირკვევა, რომ «დედიკოს პაწია» შეყვარებულია. ჰმ, მერე და ვინ დააჯერებს დედას? დედას ცხოვრების გზა უკვე გავლილი აქვს, უნახავს ქვეყნის ავი და კარგი, წელთა სიმრავლეს თმა დაუჭირხლავს, სახე დაუღარავს, მაგრამ მაინც ვერ გაუგია, რომ მისი შვილებიც დაიზარდნენ.

ასე ფიქრობს ყველა შვილი.

დედები კი...



ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა კი თითქოს ჩვიდმეტი წლისაა ისევ. ახალგაზრდა ქალი, რომელმაც გულის ფანცქალით და თრთოლვით მიუგდო ყური პირველი შვილის სუნთქვასა და მოძრაობას, პირველად დაარწია შვილის აკვანი, ღამეებს უთევდა პატარას, რომ მშვიდი ძილი არ გასტეხოდა, არ ეტირა, არ შეწუხებულიყო. ჟამთა სიავით მოკლული გულის კვნესას ახშობდა შვილის მხიარულსა და უზრუნველ სიცილში...

ასე მიდის წლები. შვილი გაიზრდება, დავაჟკაცდება, შეიძლებს ცხოვრების ავ-კარგის გარჩევას, ადამიანის თვალებში ამოიკითხავს მის გულისნადებსა და ფიქრს, დედა კი, დედა ცხოვრებასთან ჭიდილში დაღლილი თვალების გადაღმა მიმალავს სულიერ ტკივილებს, თვალს მოარიდებს შვილის კითხვით აღსავსე გამოხედვას, შემდეგ კი უდარდელი და ბედნიერი სახით შესცინებს შვილს, სიცილში ჩაკლავს კვნესას.

ასე გაივლის დრო. გავა რამდენიმე წელიწადი და... შვილი ვიღაცას შეიყვარებს. ვაჟის უბის წიგნაკში უცნობი გოგონას სურათი გაჩნდება. დედა შემთხვევით, კოსტუმის წმენდის დროს, წააწყდება ამ სურათს. დააცქერდება, დააცქერდება 18 წლის ქალის თვალებით, მოსიყვარულე დედის გულით, დააცქერდება უმწეო და შეშფოთებული. კი მაგრამ როდის გაიარა ამ დრომ, როდის გაფრინდა წლები, როდის დაეჭირხლა თმა! როგორ ვერ შეამჩნია, რომ მოხუცდა?

ფიქრობს დედა და ვერ გრძნობს, რომ ახლაც თანდათან ამოკლებს «შემდეგებით» დარჩენილ, «შემდეგებით» მოქსოვილ თავისი ცხოვრების



უჩინარ თოკს, ვერ ამჩნევს, რომ ამ წუთში თმის ერთი ბეწვი გაუთეთრდა. იგი დღის საზრუნავს განაგრძობს: ხელს არ აჩერებს, წმენდს და რეცხავს შვილის ტანსაცმელს—დღევანდელ პაემანზე ჩასაცმელს.

ნეტავ ვინაა ის ქალიშვილი, რომ ვერაცნობს? სურათზე ჩვეულებრივი გოგონაა. არც თუ ისე ლამაზი, არც ულამაზოდ ითქმის. მონღოლური სახის ნაკვთები აქვს, ოდნავ მოჭუტული თვალები, შუბლზე თმის კულულები ჩამოშლია, უბრალო, ჩვეულებრივი გოგონაა.

გულის ფანცქალით უახლოვდება დედა ალბომს, იღებს თავისი ქალიშვილობის სურათს და აი, ერთმანეთის გვერდით აწყვია ორი ყმაწვილი ქალის სურათი, ორი სიცოცხლე.

—«ვინა ხარ შენ?—ეკითხება ერთი მეორეს,—რატომ მოხვედი ასე ადრე?»

— «მე შენი შვილის სიყვარული ვარ,—პასუხობს მეორე,—მე ჩემს დროზე მოვედი».

— «კი მაგრამ მე... მე, რომ ვერ მოვასწარი ცხოვრებაში სიყვარული?»

«განა ჩემი ბრალია? შენ მოვალე ხარ...»

«... ჰმ, მოვალე ვარ»... და აქ დუმდება დედა. დუმდება, როგორც დუმდებოდა ასჯერ და ათასჯერ საჭიროების შემთხვევაში. ახლაც, როგორც ასჯერ და ათასჯერ თვრამეტი წლის ქალიშვილს ადგილს უთმობს დედა... და იგიც აკანკალებული ხელით მკერდში იკრავს უცნობი ქალიშვილის სურათს. მკერდში ხომ დედის მარად ჭაბუკი და მოსიყვარულე გული სცემს.

— მაპატიე, ჩემო გოგონი! — ჩურჩულებს დედა.

# სხვა სიყვარულის ვარდისფურცლობა

**მინიატურა**

იქ, ქუჩის გადაღმა ჭაბუკი შეჩერდა და ჩემს ფანჯარას დააცქერდა.

როგორ შევამჩნიე?..

მიყვარს წვიმიან ამინდში ფანჯარასთან დგომა და ქუჩაში ცქერა. ცივ მინას შუბლით მივეყრდნობი და ისე გავყურებ ქუჩას. მიყვარს წვიმაში მოცახცახე ხის ფოთლებისა და ფეხაჩქარებული ხალხის თვალთვალი.

შეგიმჩნევიათ, მზიან დღეებში ქუჩა ადამიანთა ხასიათის მუზეუმსა ჰგავს? ზოგი ცხარედ კამათობს, ზოგი უცნაურად სდუმს. ერთი ხმაურით და სიცილ-ხარხარით მიჰყვება თანამგზავრს, მეორე ჩურჩულებს. ზოგი დაღონებული მიდის, ზოგი თავს ძლივს იკავებს, რომ არ იყვიროს და ქვეყანას არ ამცნოს თავისი ბედნიერება. ყველაფერს ამოიკითხავ გამვლელთა სახეზე, სიყვარულსაც და იმედის გაცრუებასაც. ყველაფერს, ყველაფერს გამოამჟღავნებს ადამიანის სახე მზიან ამინდში ..

წვიმაში კი...

თითქოს უჩინარი ხელი ჩამოხსნის ადამიანებს მათთვის დამახასიათებელ გამომეტყველებას. ყოველ შემთხვევაში შორიდან, ჩემი ფანჯრიდან ასე მოჩანს. უცვლელია ადამიანთა ჩქარი ნაბიჯი. ისინი წვიმას კი არა, თითქოს ჩემს ფანჯარას გაურბიან, რომ არ დავინახო მათი შეშფოთებული სახეები, წვიმით დასველებული ტანსაცმელი...

ეს ერთი კი ქუჩის გადაღმა გაჩერებულა და წასვლას არც კი ფიქრობს. პატარა, ჯერ ისევ ნორჩი ჭადარი ვერ იფარავს წვიმისაგან ჭაბუკს. წვიმა კი დაუნდობლად ურტყამს ქუდზე, მხრებზე, მაგრამ იგი არ მიდის... დგას და ჩემს ფანჯარას შემოჰყურებს...

ნუთუ ეს შენა ხარ?.. ნუთუ შენა ხარ, ჩემო სიყვარულო?.. შენ ხომ წლების განმავლობაში საათობით იდექი ასე და ჩემს გამოჩენას ელოდებოდი. მხოლოდ მაშინ მოსცილდებოდი ჭადარს, როცა ღამე დაეუფლებოდა ქალაქს და ჩემი ოთახის ფანჯრებში სინათლე ჩაქრებოდა.

არა, ეს შენ არა ხარ. ეს ჩემი მეზობელი გოგონას სიყვარულია... ეს ჭაბუკიც მის გამოჩენას ელის და ამიტომ არ ეპუება წვიმას...

მოდი, დავლოცოთ ისინი, ჩემო ძვირფასო! დავულოცოთ სიყვარული, რომ წლების შემდეგ ისინიც ჩვენსავით ბედნიერი იყვნენ და მერე ჩვენსავით სხვა სიყვარული დალოცონ, სხვა ვარდისფურცლობა.

სომხურიდან თარგმნა

მარიამ ბინიაშვილმა.

## თურქმენეთის სსრ

ტერიტორია—488 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.)—1,4 მილიონი, დედაქალაქი—აშხაბადი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა თურქმენეთში ნავთის გადამმუშავებელი, ქიმიური და გაზის, საშენ მასალათა მრეწველობა.

ნამდვილი რევოლუცია განიცადა თურქმენეთის სოფლის მეურნეობამ. ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა გადაიქცა მექანიზებული მებამბეობის, მეცხოველეობის, მეკრაველეობის და მეაბრეშუმეობის საკავშირო მსხვილ ბაზად.

თურქმენი ხალხის კულტურული პროგრესის შესახებ მეტყველებს 6 უმაღლესი სასწავლებელი, 44 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება და საკუთარი მეცნიერებათა აკადემია.

# დიდი ხელოვნება

მთვარიანი ღამეა. ძინავს აულს, მხოლოდ ერთ ღარიბ ქოხში დაბალ დაზგასთან დახრილა ქალი. სანთლის ნამწვავი ძლივს აშუქებს მის სახეს. რამდენი ტკივილი, რამდენი ტანჯვაა ამ სახეზე! სტკივა დაღლილი ზურგი, ეხუჭება თვალები, მაგრამ ჰაერში თითქოს თავისით დაფრინავენ ხელები, თითებში ჩაბღუჯული სავარცხელი კი მარჯვედ არჩევს ლურჯ, წითელ, მწვანე ძაფებს და ზღაპრულ ნახატებად აქცევს. აბრეშუმის ქსოვილზე ისახება ლურჯი ზეცა, ხასხასა ბალახი, ფრინველის ფრთები. ქალი დაჰყურებს თავის ნახელავს და წუთით მის დაღლილ სახეს სიამოვნების ღიმილი აშუქებს. მაგრამ მხოლოდ წუთით. თითქოს ქარმა მორეკაო ღრუბლები--მისი სახე ისევ იბინდება. და განა ეს გასაკვირია? ხვალ ხომ ბაი მოვა და რაღაც გროშებად წაიღებს ამ ხალიჩას. ქალი მძიმედ ოხრავს და ჩურჩულებს:

«წყეულიმც იყოს ქალის ხვედრი!»

კიდევ კარგი, სხვა ბედი ეწვია პატარა ოტაგას, ოქტომბრის მზემ გაათბო მისი ცხოვრება.



ადრიანი დილა იყო. სიო აცლიდა ტოტებს გაყვითლებულ ფოთლებს და ისინიც ოქროსფერ ხალიჩასავით ეფინებოდნენ მიწას. თურქმენულ ტანისამოსიანი ტანწერწეტა გოგონა დიდ თეთრ სახლთან გაჩერდა და წაიკითხა: «აშხაბადის ხალიჩების საქსოვი არტელი». წუთით შეყოყმანდა, მერე კი გაბედულად შეაღო კარი. რამდენიმე წუთის შემდეგ ოტაგა გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში იჯდა; თმაშევერცხლილი ქალი ალერსიანად უყურებდა მოსულს:

— მაშ, შვილო, ჩვენთან გინდა? კარგი გიქნია—ხალიჩების ქსოვა დიდი ხელოვნებაა, მაგრამ...

სათქმელი ოტაგამ დაასწრო — ვიცი, მოხერხებას და გამჭრიახ თვალს მოითხოვს. ეს ყველაფერი მე დედისაგან შევიძინე.

ბიბი სახატოვამ გაიღიმა, ხელი მოჰკიდა ქალიშვილს და ფართო, მზიან დარბაზში შეიყვანა. დარბაზში ჩამწკრივებულიყო საქსოვი დაზგები. რიტმულად ხმაურობდნენ დარაკები[1]. ქალები მარდად არჩევდნენ, კვანძავდნენ და ჭრიდნენ სხვადასხვა ფერის ძაფებს. ქალიშვილმა დაინახა ნაცნობი ნაქარგი—გიულდესტე[2].

მოხუცმა ოსტატმა ერთ-ერთ მქსოველს დიდი დარაკი გამოართვა და ოტაგას გაუწოდა. ქალიშვილი დაზგას მიუჯდა, ასე, 1938 წლის ერთ შემოდგომის დღეს, ოტაგა ბაბაევამ ხალიჩების მქსოველად დაიწყო მუშაობა.

თურქმენული ხალიჩები ოდითგან განთქმულა. მათ ქსოვის ოსტატობას მემკვიდრეობით გადასცემდნენ დედები შვილებს. ოტაგა—პატარა, ფეხშიშველი გოგონა, ხშირად საათობით იჯდა დედის დაზგასთან და გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, როგორ იბმებოდა დაზგაზე ძაფები, როგორ იწყებდა დედა ხალიჩის ქსოვას.

მართალია, ქსოვა ოტაგამ დედისაგან ისწავლა, მაგრამ მუშაობა რომ დაიწყო, განა ყველაფერი რიგზე იყო! ხშირად უსწორმასწოროდ ლაგდებოდა ძაფები, ნაქარგის მოხაზულობაში შეცდომა გაიპარებოდა, მაგრამ ოტაგას ყოველ ნაბიჯს გამოცდილი ოსტატები ადევნებდნენ თვალყურს, და მისი ოსტატობაც იზრდებოდა.

ერთხელ ოტაგა სახელმძღვანელოს ჩაჰკირკიტებდა, როცა კარი გაიღო და მისმა მეგობარმა შემოირბინა გაზეთით ხელში, იმ გაზეთში კი ეწერა, რომ ოტაგა ბაბაევას მიენიჭა დამსახურებული მქსოველის წოდება. მაშინ ქალიშვილის გრძელ წამწამებს ორი დაუპატიჟებელი ცრემლი დაეკიდა. ოტაგა, ღარიბების შვილო ოტაგა, ხედავ რა მაღალი წოდება მოგანიჭა შენმა ქვეყანამ?

იმ საღამოს დიდხანს არ შემწყდარა მხიარულება ოტაგას სახლში. მოსალოცად მოდიოდნენ მეგობრები, ნათესავები, როგორ დაავიწყდება 1947 წელი!

მაგრამ მაღალი წოდება ბევრ რამეს გვავალებს. ამ დღიდან ოტაგამ კიდევ უფრო გულმოდგინედ დაიწყო მუშაობა, მისი წინადადებით არტელმა ბრიგადული მუშაობა დაიწყო. ბრიგადირად ოტაგა აირჩიეს. ახლა ის მარტო თავის მუშაობას კა არ ადევნებდა თვალყურს—ამხანაგებისასაც.

ყოფილხართ მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე? გინახავთ თურქმენეთის პავილიონი? მაშინ თქვენ აუცილებლად დაგამახსოვრდებოდათ ვეებერთელა—42 კვადრატულ მეტრიანი ხალიჩა-პანო.—«ხალხთა მეგობრობა». რუსი ქალიშვილი, ოქროსფერი თავთავებით ხელში, მებამბე უზბეკი, ყარა-ყუმის არხის მშენებელი თურქმენი, მებაღე ქართველი.

ეს ხალიჩა ოტაგა ბაბაევას ბრიგადის ნახელავია. ამიტომ დააჯილდოეს იგი შრომის წითელი დროშის ორდენით.

როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავისი არსებობის 7 წლისთავს ზეიმობდა, ბრიგადირმა და მისმა მეგობრებმა ოგულტიაჩ ტაგანმურადოვამ და ოგულმერედ ყურბანოვამ შორეულ მეგობრებს საჩუქარი გაუგზავნეს—მაო ძე დუნის ნაქარგი პორტრეტი.

მალე ოტაგამ მოსკოვიც ინახულა. აღტაცებული მიაბიჯებდა ფართო, ლამაზ პროსპექტზე და ბავშვობას იგონებდა. წარმოიდგენდა მაშინ დედა, რომ მისი ქალიშვილი ოდესმე დედაქალაქში ჩავიდოდა და მეგობრებს თურქმენული ხალიჩების საიდუმლოებას გაანდობდა?

შინდაბრუნებულმა ახალი დავალება მიიღო: ბრიუსელის გამოფენისათვის ბრიგადას უნდა მოექსოვა 24 კვადრატულ მეტრიანი ხალიჩა—«მშვიდობისათვის ბრძოლაში». ამ ხალიჩის ქსოვაში ოტაგას ბრიგადა დამსახურებული მქსოველის—მაია ჩერადოვას ბრიგადას ეჯიბრებოდა. ერთი თვის დაძაბული მუშაობის შემდეგ ხალიჩა ბრიუსელში გაიგზავნა.

თავის ხელოვნებას თურქმენი ქალები სიამოვნებით ასწავლიან მოძმე აზერბაიჯანის და უზბეკეთის ქალებს.

ძველი ოსტატები ღირსეულ ცვლასაც იმზადებენ. ოტაგამაც გამოზარდა ახალგაზრდები ბაირამ გულ იალკაბოვა, აინა ყურბანოვა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი, ახლა ისინი უსხედან დაზგებს და აბრეშუმის ქსოვილზე ისახება ლურჯი ზეცა, ხასხასა ბალახი, ფრინველთა ფრთები...

**ტაჩჯან ყურბანოვა.**

ქ. აშხაბადი.

[1]. დარაკი—სავარცხელი. [2] გიულდესტე—თაიგული.

# გზა მეცნიერებისაკენ

როცა კაკიში თავის წარსულზე ფიქრობს, მას უნებურად ახსენდება ბავშვობა, სოფელი შმაგი მდინარის პირას, სადაც დაიბადა, მშობლიური სიკ-ატა.

... ადრე მოუკვდა მამა კაკიშს. მას, ოჯახის უფროს შვილს, მაშინ ათი წელი შეუსრულდა. ორი და და ერთი ძმა კი მასზე უმცროსები იყვნენ.

კოლექტიური მეურნეობა, რომელშიც ისინი შევიდნენ, მხოლოდ ერთი წლის ჩამოყალიბებული იყო. მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ გლეხები: მიწას ხელით ამუშავებდნენ, არ ჰყოფნიდათ თესლი, ოჯახში არ ჰქონდათ ყველაზე აუცილებელიც კი—მარილი, შაქარი, ტანსაცმელი.

მცირეწლოვან შვილებიან კაკიშის დედას მოსვენება არ ჰქონდა: ამზადებდა ღარიბულ საჭმელს, რეცხავდა, აკერებდა ბავშვების ტანსაცმელს, შორიდან მოჰქონდა ბურბუშელა. საბჭოთა ხელისუფლება რომ არ ყოფილიყო, დაიღუპებოდა ოთხშვილიანი ქვრივი. ახსოვს კაკიშს, როგორ მივიდნენ მათთან ვილაცეები და დაითანხმეს დედა იგი სკოლაში გაეშვა. დედა ტიროდა. არა და როგორ არ ეტირა, როცა არც მისმა წინაპრებმა, არც თვითონ არ იცოდა რა იყო სკოლა, როცა მისი შვილი, პატარა კაკიში მიდიოდა სასწავლებლად «სადღაც».

ასე მოხვდა კაკიში სხვა ობლებთან ერთად კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლაში სახელმწიფო ხარჯზე. სკოლის დამთავრების შემდეგ კი, როგორც კარგი მოსწავლე, ქალაქ ფრუნზეს სამედიცინო სკოლაში გაგზავნეს. აქაც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, უზრუნველყო-



## ყირგიზეთის სსრ

ტერიტორია—198,5 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.)—1,9 მილიონი. დედაქალაქი—ფრუნზე.

„ვისაც ძლიერი კუნთები აქვს მოერევა ერთს. ვინც ძლიერია ცოდნით, ის დაიმორჩილებს ათასებს"—ხშირად იმეორებდნენ ყირგიზები ამ ძველ ანდაზას. ქვეყნის დიდი ეროვნული უბედურება იყო თითქმის მთლიანი წერა-კითხვის უცოდინარობა. ოქტომბერმა ყირგიზ ხალხსაც გაუხსნა გზა ნათელი მომავლისაკენ. რესპუბლიკაში ახლად შექმნილ ლითონდამმუშავებელ, მანქანათმშენებლობის, ფერადი მეტალურგიის საწარმოებში მრავლად არიან ყირგიზი სპეციალისტები.

სახელმწიფო უნივერსიტეტი და 8 ინსტიტუტი ახალგაზრდა სპეციალისტების საიმედო სამჭედლოა.

---

ფილი იყო ტანსაცმელით, კვებით, იღებდა სტიპენდიას, ოღონდ ესწავლა

ჭკვიანი და შთაბეჭდილებიანი გოგონა მალე ავლენს თავის შესაძლებლობებს, ადვილად ეუფლება რუსულ ენას.

შეუმჩნევლად და ჩქარა გაიარა სამედიცინო სკოლაში სწავლის 4 წელმა. 1938 წელს კაკიშმა ექთან-ბებიაქალის დიპლომი მიიღო და რესპუბლიკის შორეულ რაიონში წავიდა სამუშაოდ. ყურადღებიანი და მზრუნველი ექთანი შეიყვარეს რაიონის მცხოვრებლებმა. მეორე წელს ის დააწინაურეს ტიანშანის ჯანმრთელობის საოლქო განყოფილების კადრების განყოფილების გამგედ.

მაგრამ კაკიშ რისკულოვა გრძნობდა, რომ მისი ცოდნა მედიცინაში საკმარისი არ იყო, მას არ ასვენებდა სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი.

და მისი ოცნება ასრულდა: ის ჩავიდა ფრუნზეში და წარმატებით ჩააბარა გამოცდა მედინსტიტუტში. ეს იყო დიდი სამამულო ომის წლები, სიძნელეების წლები. სწავლასთან ერთად კაკიში პრაქტიკას გადიოდა ჰოსპიტალში, სწავლობდა ფრიადზე, იყო სტალინური სტიპენდიანტი, წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი. მომავალი ექიმი სწავლის პერიოდში შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

კაკიშ რისკულოვა ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლისას დაინტერესდა ქირურგიით და აი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტა ხელი მოეკიდა კვლევით მუშაობისათვის ქირურგიის დარგში. ის დატოვეს ასპირანტურაში. ახალგაზრდა ქირურგი ასპირანტურაში ყოფნისას მუშაობდა ფაკულტეტური ქირურგიის კლინიკაში, შემდეგ სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტალში, ჩაატარა მთელი რიგი რთული ოპერაციები.

ასპირანტურაში ყოფნისას რისკულოვამ დაიწყო ოპერაციისშემდგომი ტკივილების მიზეზის გამოკვლევა, ამასთან მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ბრწყინვალედ დაიცვა 1951 წელს. მისი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი იყო პროფესორი ანატოლ ნიკოლოზის-ძე კრუგლოვი.

ახალგაზრდა ექიმს მაინც არ აკმაყოფილებდა მიღებული ცოდნა. 1954 წელს ის მიემგზავრება მოსკოვში და შედის ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან არსებულ დოქტორანტურაში.

ამჟამად კაკიშ რისკულოვა ფრუნზეშია, მუშაობს პროფესორ კრუგლოვის ასისტენტად ფაკულტეტური ქირურგიის კლინიკაში, ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებს სტუდენტებთან, ამასთან ეწევა დიდ მუშაობას ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების დასახმარებლად.

თავისი დაუღალავი შრომით კაკიშ რისკულოვამ რესპუბლიკაში პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ის არის ყირგიზეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება, დაჯილდოებულია «საპატიო ნიშნის» ორდენით.

კაკიში არის არა მარტო ბრწყინვალე ქირურგი და მეცნიერი, არამედ მოსიყვარულე დედაც. მისი ქალიშვილები ჩინარი და ანარი, ვაჟიშვილი აზამატი, რომლებიც სკოლაში სწავლობენ, დედის მზრუნველობით არიან გარემოსილნი.

კაკიშ რისკულოვას მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერებისაკენ მიმავალი გზა უკვე გაკაფულია ათასობით ყირგიზი ქალისათვის. არცერთ ყირგიზ ქალს არ შეეძლო ეოცნება ისეთ ბედზე, როგორიც მისცა კაკიშ რისკულოვას ოქტომბრის რევოლუციამ.

**ფატიმა ბაიგელდიევა.**

ქ. ფრუნზე.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**ლ ა ტ ვ ი ი ს  ს ს რ**

ტერიტორია—63,7 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.)—2 მილიონი. დედაქალაქი—რიგა.

ლატვია განვითარებული მანქანათმშენებლობის რესპუბლიკაა, სატრანსპორტო და ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობის, რადიო და ქიმიური მრეწველობის და სხვა დარგის 900-მდე საწარმო იძლევა 6,7-ჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე 1940 წელს.

დიდია ლატვიელი ხალხის კულტურული მონაპოვარიც. ომამდე ლატვიაში 76 საშუალო სკოლა იყო, ხოლო 1957 წლისათვის ათეულ ათასობით ლატვიელი ბავშვი 739 არასრულ და 245 საშუალო სკოლაში სწავლობდა.

# დაუგავას დიასახლისი

ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. კეგუმის ჰიდროსადგურის კაშხალთან მე და ვალესკა კრუმინი ვიდექით და ვლაპარაკობდით დაუგავას მომავალზე. გამოგიტყდებით, ხეირიანად არც კი მესმოდა, რა შეეძლო ამ წყნარ მდინარეს, დიდებული ვოლგის ნათესავს. ხშირად აღფრთოვანებულვარ დაუგავას ნაპირებით, მისი შესანიშნავი მორევებით, არაჩვეულებრივი ხედით, რომელიც თვალწინ გადაგეშლება გაზაფხულზე, მაშინ, როდესაც ადრეული მინდვრის ყვავილები გამოიღვიძებენ, როცა მდინარე კალაპოტში აღარ ეტევა. მოჯადოებული ვუსმენდი ვალესკას ლაპარაკს. ეს ტანმორჩილი ენერგიული ქალი ისეთი აღფრთოვანებით მიხატავდა დაუგავაზე მომავალი ელექტროსადგურის მძლავრი კასკადების სურათს, რომ ასე მეგონა, დიდიხანია ვიცნობდი მშენებლობის გეგმებს.,.

და აი, ჩვენ ისევ შევხვდით. ახლა უკვე ახალ ხუთწლედში. ვინც კეგუმზე ყოფილა, სამანქანო დარბაზებში აუცილებლად შეამჩნევდა არაჩვეულებრივ სისუფთავესა და წესრიგს. პირველი შეხედვისთანავე ეტყობა ყველაფერს ქალის მზრუნველი ხელი.



ვალესკა კრუმინმა უკან მოიტოვა მძიმე და პასუხსაგები ხუთი ხუთწლედი. უბრალოდ არ ჩაუვლიათ მათ,—ისინი გაფრინდნენ, როგორც რეაქტიული თვითმფრინავების მწკრივი, მხოლოდ სადღაც, შორს კიდევ ისმის მათი გუგუნი...

კრუმინმა მოსკოვში დაამთავრა პლეხანოვის სახელობის ინსტიტუტი. დგებოდა 1930 წელი. ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტები ის-ის იყო დნეპრის, სვირისა და ვოლხოვის სანაპიროებზე იწყებდნენ მშენებლობის პრაქტიკული ჩვევების მიღებას.

ექსკავატორი მაშინ სასწაული იყო, ბეტონსარევებს უყურებდნენ როგორც «ცისფერ ფრინველს». ვიბრატორებზე კი არც ოცნებობდნენ. ელექტროენერგია რამდენიმე ელექტრომოტორისა თვისაც არ კმაროდა. ამერიკელები თავიანთი კაშხალებიდან ირონიული ღიმილით უყურებდნენ ახალგაზრდა რუს ენერგეტიკოსებს... ასეთი გზა აირჩია ლატვიელმა ქალმა, შეიძლება ერთადერთმაც იმ დროისათვის.

კეგუმში ის მოვიდა, როგორც გამობრძმედილი ინჟინერი, ზურგს უკან იყო პირველი ხუთწლედების გამოცდილება.

— მძიმე იყო პირველი დღეები კეგუმზე,— იგონებს ვალესკა კრუმინი, — ბევრი რამ გვაკლდა. უნდა გვეშოვა ელექტროდები, კარბიტი, ჟანგბადის ბალონები — ეს იყო ყველაზე აუცილებელი რამ. ადამიანები მუშაობდნენ ისე, რომ ავიწყდებოდათ ნორმალური ძილი და მოსვენება. დამკვრელის უმაღლესი ჯილდო ერთი წყვილი ჩექმა იყო, მას საზეიმოდ გადასცემდნენ და ისიც პირველ რიგში მას, ვინც დღე და ღამეს მშენებლობაზე ასწორებდა...

მერე გამოირკვა, რომ შვედმა ინჟინრებმა შეცდომა დაუშვეს სადგურის დაპროექტებაში. საჭირო გახდა მშენებლობის გადაკეთება, შემდეგ ახალი საზრუნავი გაჩნდა: ავტომატიზაცია, ტელეაპარატურა...

კეგუმი დღეს პირველი კლასის ჰიდროსადგურია. ოდესღაც სადგურის ტელეავტომატური გაშვება შორეული ოცნება იყო, ახლა კრუმინი სპეციალურ მანქანაზე (გამომანგარიშებელ-ოპერატორზე) ფიქრობს. მანქანა თვითონ გაუძღვება სადგურს, რომელიც დიდიხანია გადაიქცა მეცნიერულ ლაბორატორიად. ცდები ძნელი გასაკეთებელია, მაგრამ ღამე, როცა ნაკლები დატვირთვაა, შეიძლება ექსპერიმენტებზე მუშაობა. კვლევითი ინსტიტუტების მუშაკებს მჭიდრო კავშირი აქვთ კეგუმელებთან, ხშირად მოდიან მათთან რჩევისათვის კონსტრუქტორები, ელექტროაპარატურების შემქმნელები...

...გამეხარდა, რომ კრუმინს თავისი ახალგაზრდული ენერგია შერჩენია. თუმცა ჩვენი პირველი შეხვედრიდან დიდი დრო გავიდა. მას ყველაფერი აინტერესებს, იგი არა მარტო ჰიდროსადგურის თვითეულ დეტალს იცნობს, არამედ ენერგეტიკოსთა ახალშენში იცის თვითეული ხე. შეიძლება გაგიკვირდეთ რა საქმე აქვს ენერგეტიკოსს ვაშლის ხეებთანო? მაგრამ კრუმინს ყველაფერი ეხება. ასეთი ხასიათი აქვს: უნდა რომ ადამიანები ლამაზად ცხოვრობდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომ. თვითეულ ფანჯარასთან ვაშლის ხე ყვაოდეს.

...კეგუმში ყველა სწავლობს, ამთავრებენ საშუალო სკოლას, შედიან უმაღლეს სასწავლებლებში. მორიგე პერსონალი თითქმის მთლიანად სტუდენტ-დაუსწრებლებისაგან შედგება.

— პლიავინიასის ჰიდროელექტროსადგურისათვის ვამზადებთ კადრებს—ამბობს ინჟინერი,—ჩვენთვის პატარა ჯგუფს დავიტოვებთ, დანარჩენებს კი ახალ ჰიდროკვანძზე გავგზავნით. ადამიანებმა ჩვენთან ყველაფერი ისწავლეს. სიძნელეებში გამოიბრძმედენ, არ გაუჭირდებათ...

გეოდეზისტები ჯერ მხოლოდ სწავლობენ მდინარის ნაპირებს, ჯერ არ ამოურჩევიათ ადგილი კაშხალის მშენებლობისათვის, ჯერ კიდევ დავობენ მომავალი სადგურის სიმძლავრეზე. ეს დაუდეგარი ქალი კი უკვე მრავალი წლების იქით იხედება.

...მზიანი დღე იყო. ჩვენ გვერდი-გვერდ მივაბიჯებდით ახალშენის მოასფალტებულ ქუჩაზე. კეგუმზე მაღლდებოდა და დნებოდა ორთქლის ღრუბელი. დაუგავა ყინულს დაეფარა, მაგრამ კაშხალის უკან წყლის შორეული გუგუნი მაინც ისმოდა, არ ეძინა მდინარეს, ძალას იკრებდა. ზღვისკენ ისწრაფვოდა.

— შეეჩვიეთ აქაურობას? — ვეკითხები.

ვალესკას ეღიმება.

— შევეჩვიე, მაგრამ პლიავინიასშიც ვიმუშავებდი...

მე გავიფიქრე, რომ ეს მოუსვენარი ქალი ვერ გაჩერდება აქ, როცა სადგურის მშენებლობა დაიწყება. მან ხომ მთელი ცხოვრება ახალ მშენებლობებზე გაატარა.

— ჩვენც უნდა ჩავიხედოთ პლიავიანასის პროექტებში, დაუგავას და მის ახირებულ ხასიათს ჩვენზე უკეთ ვინ იცნობს!?

მე ვემშვიდობები ვალესკას. ვუყურებ, როგორ მიაბიჯებს ქარში ეს პატარა ქალი, მიდის კაშხალისაკენ, იქ, სადაც გუგუნებს და ქაფდება დაუგავა.

**ბ. ბურლაკი.**

ქ. რიგა.

## მოლდავეთის სსრ

ტერიტორია - 33,7 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.) — 2,7 მილიონი. დედაქალაქი — კიშინიოვი.

„ყველა უბედურების გზაშესაყარ ქვეყნად“ იხსენიებდნენ ძველი მემატიანეები ბესარაბიას. ახლა საბჭოთა სამხრეთის მარგალიტს უწოდებენ მზიურ მოლდავეთს.

მსხვილი სოციალისტური მრეწველობის რესპუბლიკა, მევენახეობის უდიდესი რაიონია საბჭოთა კავშირში. იგი პირველ ადგილზეა ყურძნის მოსავლით.

მოლდავეთის 1.800 ბიბლიოთეკაში მოთავსებულია იმდენივე წიგნი, რაც მეფის რუსეთის ყველა წიგნთსაცავში იყო.

# მისი ბედნიერება

მზის ჩასვლისას მივედით სოფელ კოჟუშნაში. ჩვენ გვინდოდა გავცნობოდით მთელს მოლდავეთში განთქმულ მევენახეობის კოლმეურნეობას «ბირუინცას»*, რესპუბლიკის სახელოვან მევენახეებს, რომლებმაც თავდადებული შრომით პოპულარობა მოუპოვეს მშობლიური სოფლის ყურძენსა და ღვინოს.

კოლმეურნეობის გამგეობის შენობასთან ორი ახალგაზრდა ქალი შემოგვხვდა.

— სად შეიძლება თავმჯდომარის, ან პარტორგანიზაციის მდივნის ნახვა?

— ამხანაგები ცურკანა და მანოლე კიშინიოვში არიან თათბირზე.

მაშ ტყუილად მოვსულვართ, გავიფიქრე მე, მათ გარეშე ხალხს ვერ გაეცნობი.

— რად გინდათ ისინი, როცა ჩვენ აქა ვართ,— თითქოს მიხვდა ჩემი შეცბუნების მიზეზს, საუბარში ჩაერია ჩვენთან მოახლოებული შუახნის მამაკაცი,—ჩანს ვიღაცას ჩვენი ღვინის ჭაშნიკი მოსურვებია.

— რას ბრძანებთ. ჩვენ მხოლოდ მევენახეების გაცნობა გვსურდა.

— ეს უკეთესი, თქვენი თანამოსაუბრე უცნობებიდან ერთი სახელოვანი ბრიგადირი ვერა კირილეს ასული ტრიბოია—მიგვითითა მარჯვნივ მდგომ ქალზე—ხოლო მეორე მისივე ბრიგადის მერგოლურია—ვასილისა სტეფანეს ასული გრიგორაში.

— ძალიან სასიამოვნო. მაშ ნება გვიბოძეთ უფრო ახლოს გავეცნოთ ერთმანეთს...

— წლინახევრისა დავრჩი დედას,—გვიამბობდა ვერა კირილეს ასული,—მამა რომ გარდამეცვალა. ისედაც ხელმოცარული ღარიბი ოჯახი ამ უბედურებამ სულ გააღატაკა ან კი, ვინ იფიქრებდა უკეთეს მომავალზე, სიხარულზე!

ასეთი იყო მათი ბედი. გაჭირვება და შიმშილი იყო მოლდაველი გლეხის თანამგზავრი, რუმინელ ბოიართა ბატონობისას. მაგრამ განვლო მძიმე წლებმა და ქვრივის სახლშიაც შეანათა მზემ. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ობოლი ვერა სკოლაში მიიღეს. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში დარჩენა გადაწყვიტა. სწორედ ამ ხნიდან—1947 წლიდან იწყება მისი შრომითი ბიოგრაფია.

...იყო რიგით კოლმეურნედ, მერგოლურად, ხოლო 1951 წლიდან მევენახეთა ბრიგადირია. ბრიგადაში გაერთიანებულია ორასამდე კოლმეურნე, მათი უმრავლესობა მამაკაცია.

ახლა ვერა ტრიბოის და მისი ბრიგადის სასახელო მაჩვენებლებს ყველა იცნობს რესპუბლიკაში, ბრიგადამ 107 ჰექტარ ვენახზე 900-მდე ტონა ყურძენი მოკრიფა. ამასთან ფართობი ძირითადად ჰიბრიდული ჯიშის ვენახითაა გაშენებული, ხოლო ეს ჯიშები ნაკლებ მოსავლიანია. მარტო ჩვენი მეორე თანამოსაუბრის ვასილისა სტეფანეს ასულ გრიგორაშის რგოლმა 78 ტონა ყურძენი მოკრიფა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 60 ტონისა.

ტრიბოის ბრიგადის ყურძნის უხვმა მოსავალმა კოლმეურნეობის ბიუჯეტი ორი მილიონი მანეთით გაზარდა.

— ყურძნის უხვი მოსავალი ხანგრძლივი და შრომატევადი მუშაობის შედეგია გვეუბნება იგი.— ჩვენში ხშირად იმეორებენ ანდაზას—ძაღლს მარტო ნადირობის წინ კი არ აჭმევენო. ჯერ კიდევ ზამთარში იწყება მოსამზადებელი სამუშაოები, სასუქების—კალიუმის მარილის, სუპერფოსფატის შეტანა. შემდეგ საგაზაფხულო... ახვევა, გათოხნა, შეწამლვა და კიდევ მრავალი რამ არის საჭირო იმისათვის, რომ კარგი მოსავალი მოიყვანო. დიახ, მევენახეობა დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ ვერ დავემდურებით, ათმაგად გვინაზღაურებს.

მართალს ამბობდა ვერა კირილეს ასული. შეძლებულად ცხოვრობენ მისი თანასოფლელები, მრავალი მათგანის მარტო ფულადმა შემოსავალმა შრომადღეებზე ოციათას მანეთს გადააჭარბა. პირადად ვერამ გასულ წელს ოცდათვრამეტი ათასი მანეთი მიიღო შრომადღეებზე.

სახე იცვალა მისმა მშობლიურმა კოჟუშნამაც, ელექტროფიცირებულ და რადიოფიცირებულ სოფლის ქუჩებს ამშვენებს ქალაქის ტიპის ახალი სახლები. განსაკუთრებით საამაყო და საყვარელია სოფლის კულტურის სახლი ვერა ტრიბოისათვის. აქ, ამ ლამაზ დარბაზებიან სახლში, დაამთავრა მან სამწლიანი აგროტექნიკური კურსები, აქ მეცადინეობს პოლიტსაგანმანათლებლო წრეში და აქვე მიიღეს ის 1956 წელს კომუნისტური პარტიის რიგებში. ეს იყო ყველაზე ბედნიერი წელი ვერა ტრიბოის ცხოვრებაში.

საუბარში დაგვაღამდა. ავჩქარდით, გულთბილად გამოვემშვიდობეთ ჩვენს მასპინძლებს, «უჭაშნიკოდ» დავულოცეთ მარჯვენა და ვუსურვეთ სიხარული და ბედნიერება.

**ვერა ჩორნაია,**

ქ. კიშინიოვი.

* გამარჯვება.

## ლიტვის სსრ

ტერიტორია—65,2 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.)—2,7 მილიონი. დედაქალაქი—ვილნიუსი.

ეკონომიურად ჩამორჩენილ ბურჟუაზიულ ლიტვაში სახელმწიფო ხარჯები სატუსაღოებზე მნიშვნელოვნად აღემატებოდა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებს, ხოლო პოლიციის შენახვა ბურჟუაზიულ მთავრობას 4—5-ჯერ ძვირი უჯდებოდა, ვიდრე სოცუზრუნველყოფა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში შეიქმნა ელექტროტექნიკის, მანქანათმშენებლობის, გემთმშენებლობის და მრეწველობის სხვა დარგები.

1957 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 7-ჯერ გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ამავე პერიოდში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 7-ჯერ.

# სინათლე უბრუნებს თვალებს

დაკარგო სინათლე.., ჩაიძირო უიმედო წყვდიადში, როცა ირგვლივ ანათებს მზე, ყვავიან ბაღები, სიყვარულით ელავენ ბავშვების თვალები... სიბნელე ხელ-ფეხს გიბოჭავს... მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის უსინათლო ადამიანს თუ შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ნათელი ცხოვრების შენებაში.

აი, რატომ შეიძლება თვალის ექიმებს სინათლის გუშაგები ვუწოდოთ!

ეს გამხდარი, სუსტი ხმით მოლაპარაკე ქალი, ექიმი ონა იაუდეგიტე გარეგნობით არაფრით გამოირჩევა სხვებისაგან, მაგრამ ეს მხოლოდ ჩანს ასე. საკმარისია ორიოდე დღე გაატარო კლაიპედის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, დაათვალიერო თვალის დაავადების განყოფილება, პალატები, ნახო როგორ მუშაობს იგი, დაბოლოს გადაშალო გამოჯანმრთელებულ ავადმყოფთა ალბომები, რომ ეს ქალი შენს თვალში შესამჩნევად გაიზრდება.

არ ვილაპარაკებთ ექიმის მოფუსფუსე და დაძაბულ შრომაზე, უძილო ღამეებზე, დიდ ცდაზე—ეს თავისთავად იგულისხმება. ვერასოდეს ვერ მიაღწევ თვალსაჩინო შედეგებს, თუ რაიმეზე არ იტყვი უარს, თუ მთლიანად არ მიეცემი დასახულ მიზანს.

ექიმის შრომა გვიამბობს ამაზე.

ხდება, რომ ზოგიერთი დამწვრობისა და დაზიანებისაგან ვიწროვდება ცრემლსადინარები. იწყება ცრემლის დენა, სივდება, წითლდება და სკდება ქუთუთოები. ავადმყოფი კარგავს შრომის უნარს, განსაკუთრებით ჰაერზე.

რა იქნებოდა, რომ შევიწროებული სადინარის მაგიერ ჩაგვედგა ხელოვნური მილი—საცრემლო პროტეზი?

ამ მილით ცრემლი მოხვდებოდა ცხვირში და შეწყდებოდა ცრემლისდენა. ადრე, მილის მაგიერ ექიმი სარგებლობდა ფრინველის ფრთის ფართო ბოლოთი, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ცრემლისგან ფრთა რბილდებოდა. ბევრად უკეთესია ალუმინის ან ვერცხლის პროტეზი. ალუმინის ფირფიტას ის ახვევდა სასურველი ზომის მილად, რომლის ერთ ბოლოს ღუნავდა და შეჰყავდა ცრემლსადინარში. ასეთი ოპერაცია იაუდეგიტეს 30-ზე მეტი გაუკეთებია და ყველა ბრწყინვალედ.

მეორე «სასწაული», რომელმაც სახელი გაუთქვა ექიმს, ეს არის ჩავარდნილი ქუთუთოს ოპერაცია.

სამი წლის წინათ კლაიპედაში მაჟეიკიაიდან ჩამოიყვანეს მოსწავლე გოგონა. ის სრულიად ვერ აღებდა ცალი თვალის ქუთუთოს, თუმცა მეორე თვალი ჯანსაღი ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში კუნთს, რომელიც ქუთუთოს სწევს, ამოკლებდნენ, მაგრამ შედეგი არ იყო სახარბიელო. ჩავარდნილი ქუთუთოს კუნთი არ მოქმედებდა, მისი ძალზე დამოკლება კი შეუძლებელი იყო. ექიმმა მოიფიქრა ქუთუთოს მოძრაობა გაემაგრებინა სამი არტახის — «აღვირის» დახმარებით. ოპერაციის დროს ექიმი ავადმყოფზე ნაკლებ არ ღელავდა. მან ჯერ ხომ არ იცოდა შედეგი! «აღვირი» დაამაგრა ჩავარდნილი ქუთუთოს ქვედა ბოლოზე შუბლის არეში.

# მუსიკალური აღზრდა

ცნობილია ესტონელი ხალხის სიყვარული მრავალხმიანი საგუნდო ხელოვნებისადმი, და საერთოდ საგუნდო სიმღერებისადმი. გასული საუკუნის შუა წლებიდან ესტონეთში პერიოდულად იმართება სიმღერების დღესასწაული. მთელი რესპუბლიკის გაერთიანებული გუნდები ასრულებენ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო და კლასიკურ საგუნდო ნაწარმოებებს.

უკანასკნელ ხანს ასეთი გაერთიანებული გუნდის მომღერალთა რიცხვმა 30.000 კაცს მიაღწია. ეს მასობრივობა აიხსნება იმ ფაქტით, რომ სხვადასხვა დროსა და ისტორიულ პერიოდში ესტონეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკალური აღზრდა მაინც სტაბილური დარჩა, როგორც სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, ისე მუსიკის მასწავლებელთა კადრების მომზადების თვალსაზრისითაც.

უკანასკნელ წლებში მუსიკალურ აღზრდას სასწავლო პროგრამით ყველა კლასში ეთმობა კვირაში თითო საათი (I—XI კლასებში), კლასების გაერთიანებულ გუნდებს—კვირაში ორი საათი (ახალი სასწავლო წლიდან განსაზღვრულია 2 აკადემიური საათი ყოველ კლასში). საკლასო მეცადინეობები ტარდება გათვალისწინებული პროგრამებით. სასწავლო წლის განმავლობაში ისწავლება სასიმღერო რეპერტუარი 16-დან 20 ნაწარმოებამდე. I—III კლასში ისწავლება ერთხმიანი სიმღერები, ხოლო IV—VII და VIII—XI კლასებში—მრავალხმიანი. მოსწავლეები ეცნობიან მუსიკალურ ანბანს, მუსიკალურ ფორმებს, იძენენ ნოტებით სიმღერისა და მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენის ჩვევებს. საგუნდო მეცადინეობები (ორი საათი კვირაში თვითეულ ოთხკლასიან კომპლექტზე) ტარდება სამ ჯგუფად:

ა) პატარების გუნდი (I—III კლასები). ამ გუნდის რეპერტუარში შედის ერთხმიანი სიმღერები ფორტეპიანოსა და რიტმული ინსტრუმენტების თანხლებით, აგრეთვე მოძრაობა მუსიკის ქვეშ.

ბ) საბავშვო გუნდი (IV—VII კლასები). მის რეპერტუარში შედის სამხმიანი სიმღერები თანხლების გარეშე.

გ) ახალგაზრდული გუნდი (VIII—IX კლასები). რეპერტუარში შედის 3—4-ხმიანი სიმღერები ვაჟების განსაზღვრული დიაპაზონით.

დ) ქალთა და ვაჟთა შერეული გუნდი (IX—XI კლასები), რომელიც წარმოადგენს სრულფასოვან გუნდს.

საკლასო მეცადინეობისათვის გამოცემულია სახელმძღვანელოები,



ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა მაქეიკიაიში ჯანსალი დაბრუნდა. ქუთუთოს ალებდა. შეეძლო თვალის დახამხამება. ოპერაციის კვალი სულაც არ ემჩნეოდა. მხოლოდ თუ კარგად დააკვირდებოდით, წარბის ზემოთ შეამჩნევდით უმნიშვნელო ფოსოს: მის შიგნით მიმაგრებული იყო «ალვირები».

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია იაუდეგიტეს მიერ დამწვარი თვალის მკურნალობა სისხლით. ზოგჯერ თვალის რქოვანა იფუფქება ტუტით ან სიმჟავით. რამოდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი მუშა-ქალი ჩავარდა გოგირდის ხსნარიან კასრში და ძლიერ დაეწვა სხეული და ორივე თვალი. ექიმს უნდა გადაეწყვიტა ძნელი საკითხი: გამოეყენებინა თუ არა დენიგოს ჩვეულებრივი მეთოდი—ტუჩის ლორწოვანი გარსის გადანერგვა დამწვარი თვალის შეაერთებელი გარსის ადგილზე. ამ მეთოდით ოპერაციას ჯერ არ მოჰყოლია კარგი შედეგი. პირიქით, ექიმმა ნახა, რომ ერთი ავადმყოფი კიდეც დაიღუპა. «რას იზამდა. თვითონ რომ იყოს ავადმყოფი?»—ეკითხებოდა თავისთავს იაუდეგიტე და უმალ გადასწყვიტა, რომ თვით არასოდეს არ გაიკეთებდა ოპერაციას დენიგოს მეთოდით. ჩანს, რომ ამ მუშა-ქალსაც სხვა მეთოდით უნდა მკურნალობა. რა იქნება, თუ დამწვარი თვალის შემაერთებელი გარსის ქვეშ შევაშხაპუნებთ ავადმყოფისვე სისხლს? სისხლი გააზავებს თვალში ღრმად შეჭრილ გოგირდს და რქოვანას კვება გაუმჯობესდება. ავადმყოფის ვენიდან ექიმმა გამოიღო სისხლი და შეუშვა შემაერთებელი გარსის ქვეშ. რქოვანა გაიწმინდა. ასეთი მკურნალობა განმეორდა რამოდენიმე დღის განმავლობაში ზედიზედ. თვალები გაცოცხლდა, ავადმყოფმა შეძლო წაკითხვა.

ექიმი იაუდეგიტე ფართოდაა ცნობილი. მასთან სამკურნალოდ ჩამოდიან შორიდან, კალვარიიდან, ვილნიუსიდან, კაუნასიდან, შორეული აღმოსავლეთიდანაც კი.

1957 წლის ბოლოს ლენინგრადში ჩატარდა თვალის ექიმთა საკავშირო კონფერენცია. იქ იაუდეგიტემ ილაპარაკა თვალის მკურნალობის ახალ მეთოდებზე. მისმა მოხსენებამ ყველა დააინტერესა. განსაკუთრებით ლენინგრადელი პროფესორი პოლიაკი და მოსკოველი პროფესორი კამინსკაია. მათ გაუკვირდათ, რომ საავადმყოფოს რიგითმა ექიმმა შესძლო ასეთი ოპერაციების ჩატარება და წინადადება მისცეს მას ეჩვენებინა თავისი ავადმყოფები. რამდენიმე თვის შემდეგ ლენინგრადის თვალის ექიმთა სხდომაზე იაუდეგიტემ ჩაატარა სამი ავადმყოფის დემონსტრირება, რომელთაც ორივე თვალის ცრემლსადენის პროტეზი ჰქონდათ, პროფესორები გაკვირვებულნი იყვნენ გასაოცარი შედეგებით, ექიმს უსურვეს მეტი მუშაობა და ურჩიეს მეცნიერული შრომის დაწერა ამ საკითხზე.

მეცნიერული შრომა დაიწერება. ექიმი ქალი კვლავ დაუღალავად იზრუნებს ავადმყოფებზე, სრულყოფს თავის გამოგონებებს.

ვუსურვოთ სახელოვან ქალს კიდევ ბევრისათვის დაებრუნებინოს სინათლე!

**ა. ბალტრუნენე.**

ქ. ვილნიუსი.




I-დან VII კლასის ჩათვლით თვითეულისათვის ცალკე. ყველა სახელმძღვანელო შეიცავს 80—100 სიმღერას ნოტებით, მუსიკალური აღზრდისა და ჩვევების გამომუშავებისათვის შეტანილია აგრეთვე თეორიულ-პრაქტიკული მასალა. სახელმძღვანელოები გამოცემულია მასობრივი ტირაჟით, და ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია. უფროსი კლასელებისათვის უკვე მზადდება გამოსაცემად სპეციალური სახელმძღვანელოები და ახლო მომავალში ამ მხრივ მუშაობა მოგვარდება.

ყველა სკოლას ჰყავს გუნდები, რომლებიც გატაცებით მუშაობენ 1960 წლის სიმღერის XV საყოველთაო დღესასწაულზე გაერთიანებულ გუნდში გამოსასვლელად.

სკოლაში მეტად განვითარებულია, აგრეთვე, ანსამბლური სიმღერები (ვოკალური კვარტეტები, ოქტეტები, ტრიო, დუეტი და ა. შ.), ამასთან ბევრ სკოლაში მუშაობს ხალხური, სასულე და საესტრადო ორკესტრები.

საშუალო სკოლების მუსიკის მასწავლებელთა კადრებს ამზადებს კონსერვატორია, პედაგოგიური ინსტიტუტი და მუსიკალური სასწავლებელი.

მიზანშეწონილია და მეტად კარგი შედეგი მოგვცა მუსიკალური აღზრდის შეერთებამ ზოგიერთ ჰუმანიტარულ მეცნიერებასთან. პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობს სპეციალური განყოფილება დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუსიკალური აღზრდის საგნებსაც. საერთოდ ინსტიტუტში მოსახვედრად საჭიროა ყველა შემსვლელს ჰქონდეს მუსიკალური სმენა. ეს მუსიკაში მეცადინეობების ჩატარებისა და მუსიკალური აღზრდისათვის კადრების მომზადების შესაძლებლობას იძლევა. ამჟამად პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობს სამი გუნდი «ა კაპელა» (შერეული, ქალთა და ვაჟთა). თვითეულში გაერთიანებულია 100 სტუდენტი. ეს გუნდები წარმატებით გამოდიან როგორც რესპუბლიკაში, ისე მის გარეთაც.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე ესტონეთის სკოლებში მუსიკალურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად განზრახულია მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებების განხორციელება.

**რ. პიატსი**, კომპოზიტორი.

ქ. ტალინი.

## ესტონეთის სსრ

ტერიტორია—45.1 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა (აპრილი 1956 წ.)—1,1 მილიონი. დედაქალაქი—ტალინი.

ბურჟუაზიული ესტონური გაზეთის „პიაევალეხტის“ აზრით: მძიმე მრეწველობა სრულებით არ სჭირდებოდა ესტონელ ხალხს“.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ ესტონეთი სწრაფი ტემპით გარდაიქმნა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ და მექანიზებულ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რესპუბლიკად.

ესტონური მარკის ელექტრომოტორები, რადიოსაქონელი, სამაცივრო მოწყობილობანი ისევე ცნობილი და პოპულარულია ჩვენს ქვეყანაში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, როგორც საკონცერტო როიალი „ესტონეთი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეილა აბაშიძე



მხარდამხარ მახვილით გადაერჩინა თავისი ქვეყნის მომავალი.

მაია წყნეთელი... ქართველმა ხალხმა სიყვარულით შეინახა მისი სახელი, ლექსით და სიმღერით დღემდე მოიტანა.

სულ მალე ამ გმირი ქალის სახეს ხალხი ეკრანზე ნახავს.

— ფილმის მოქმედების გარემო ისტორიულია. მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ ისტორიული ფილმის შექმნას ამ ჟანრის ტრადიციული გაგებით,—თქვა რეჟისორმა რევაზ ჩხეიძემ,—მაყურებელი ნახავს ტრაგიკომედიას, სადაც კომედიური ხასიათის სცენებს დრამატული ეპიზოდები სცვლის. ეს არის მაიას ყმაწვილური სევდა თავის ქალიშვილურ ბუნებაზე, რასაც





იგი გულის სიღრმეში იკლავს, რადგან ასეთია მკაცრი გარემოება. ბოლოს, ნამდვილ ტრაგიკულ სიმაღლემდე უნდა აჟღერდეს ფინალი—მაიას დაღუპვა ბრძოლის ველზე. მაია იღუპება ისე, რომ თან მიაქვს თავისი ოცნება—ეზიაროს ჭეშმარიტ სიყვარულს და კვლავ ჩაიცვას ქართველი ქალის კაბა.

ჩვენ ვესაუბრეთ ფილმის მონაწილეებსაც. ერთი შეხედვითაც დაინახავთ, რა დიდი სიყვარულით ეკიდება მთელი კოლექტივი ამ ფილმის გადაღებას.

ასეთი იყო საქართველოს ბედი... ქართველი ქალი ერთი ხელით აკვანს არწევდა, მამულს შვილს უზრდიდა, მეორე ხელში ხმალი ეჭირა.

ცხენზე ჯდომაც იცოდა... თოფ-იარაღიც ემარჯვებოდა. იყო მშვენიერი და იყო მამაცი.

ქართველი დედა დედა-ბოძი იყო საქართველოსი.

მასაც უნდა შეენახა მამული, ენა, წესი და ადათი. მასაც უნდა შეენახა ფესვი ქართული.

აბჯარიც უნდა აესხა. ჯაჭვის პერანგში ჩაემალა მშვენიერქალობა... ვაჟკაცებთან, მათ

კადრები ფილმიდან.

ფოტო ე. სიხარულიძის.



რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 224, უე 00982.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали“.
Издательство ЦК КП Грузии.









# — მაია წყნეთელი

— გათენებიდან შუაღამემდე გადაღებაზე ვართ. ჭამაც არ გვახსოვს. ამას წინათ ჯვარზე ვიღებდით, მცხეთაში. ყოველდღე დავდიოდით, ციოდა, მაგრამ სიცივესაც არ ვგრძნობდით. ჩვენი ფილმის ყველაზე უმცროსი მონაწილე თორმეტი წლის სოსო აბრამიშვილი—გიო, მთელ დღეს საზაფხულო პერანგის ამარა იდგა აპარატის წინ,—გვიამბობს ერთი.

— ჩვენს ფილმში ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლებია გადაღებული—უფლისციხე, გრემი, ჯვარი, ალავერდი, ატენი...—ამბობს მეორე.

— ბერიკაობა აქამდე ეკრანზე არავის გადაუღია,—გვიხსნის მესამე.

მაია წყნეთელი ხომ ყველას რაინდული სიყვარულით უყვარს. იგი ხომ ფილმში ერთადერთი ქალია, თუმცა ისევ ვაჟურად ჩაცმული, თოფ-იარაღში ჩამჯდარი. ეს მხოლოდ ლეგენდარული წყნეთელი ქალის სიყვარული როდია, არამედ მათს თვალწინ შექმნილი მათე-მაიას, ლეილა აბაშიძის მათე-მაიას სიყვარულიც.

— მაია ისეთი როლია, რომელზეც ოცნებობაც კი სასიამოვნოა,—გვეუბნება ლეილა,—ამ როლზე მუშაობის დროს ბევრი რამ ვისწავლე, ვისწავლე არა მხოლოდ წიგნებით. ვისწავლე ცხენზე ჯდომა, ფარიკაობა, სროლა. მიუხედავად დიდი ფიზიკური დატვირთვისა (მარტო იარაღი, რომელსაც ყოველდღე ვატარებ, 6—7 კილოგრამს იწონის, ცხენიდანაც ბევრჯერ გადმოვვარდნილვარ, ჭრილობაც კი მაქვს ამ როლის სახსოვრად მიღებული), დაღლა არასოდეს არ მიგრძვნია. და თუ მიგრძვნია, ეს როგორღაც სიამოვნებასაც კი მგვრიდა. ვისურვებდი, რომ სურათი, რომელსაც უკვე მალე ნახავს ჩვენი მაყურებელი, ისევე სასიამოვნო სანახავი იყოს, როგორც ის ჩვენთვისაა მუშაობის პერიოდში. მე კი ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ჩემს მაიაში მაყურებელი ქართველი ერის საყვარელ გმირ ქალს იცნობს და შეიყვარებს.

**ლ. კიძილაშვილი.**

**თ. ძოწბალაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მიმართვა მსოფლიოს ქალებისადმი

ქალთა საერთაშორისო დღეს, 1959 წლის 8 მარტს, ისე, როგორც ყოველ წელს, ჩვენ, მთელი მსოფლიოს მილიონობით ქალები გამოვთქვამთ იმედებს და მოვითხოვთ ჩვენი უფლებების დაკმაყოფილებას.

ჩვენ, ქალებს, გვეკუთვნის დიდი როლი საზოგადოებაში. ვისწრაფვით რა გავხადოთ ცხოვრება აყვავებული და წარმტაცი, ვამტკიცებთ, რომ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია ჩვენი ბავშვების ბედნიერება, ჩვენი კერის მშვიდობა, ჩვენი უფლებების სრული განხორციელება და საერთოდ, ყველასათვის კარგი ცხოვრება. ჩვენ გვსურს, რომ მსოფლიოში, სადაც იბატონებს მშვიდობა, ყველამ ისარგებლოს თავისი შრომის ნაყოფითა და მეცნიერული აღმოჩენებით.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი კანონიერი ნება-სურვილის განხორციელებისათვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს გამალებული შეიარაღება და პირველ რიგში ატომური შეიარაღება.

ჩვენ, ქალები არ დავუშვებთ, რომ უმიზნოდ ნადგურდებოდეს ადამიანთა სიცოცხლე, მათი მორალური და მატერიალური სიმდიდრე. ჩვენ გვინდა ბოლო მოეღოს ომებს, ამიტომ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის გამოცდა. აიკრძალოს ატომური იარაღი. ჩვენ მოვითხოვთ განიარაღებას.

ყოველმა ქალმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ მიზნების განხორციელებაში. ჩვენშია სიცოცხლის ძალა. ვიმოქმედებთ რა შეერთებული ძალით, ჩვენ შევძლებთ გავიმარჯვოთ სიკვდილის ძალებზე.

ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ, მთელი დედამიწის ქალებს, მოიწონებთ რა ამ მიმართვას, განუცხადოთ პარლამენტებს, მთავრობებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თქვენი მისწრაფება მშვიდობისადმი.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია.

